127

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მეთ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქციის 14—76, კანტორის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—53.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვ. [illegible] თვით—1 მან. 60 კ. [illegible] 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრ. [illegible] თვის 1 მან. განცხადება 20 კ. [illegible] სტრიქონი. [illegible] განცხადება 5 მან. [illegible] ძველი ნომრები მიიღება მხოლოდ 2 აბ.

№ 63 (918) სამშაბათი, 18 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. ჩერვონცებით. № 63 (918)

დღიური

— ამხ. ჩიჩერინმა გაუგზავნა საპროტესტო ნოტა პუანკარეს რუმინეთის მიერ ბესარაბიის დაპყრობის რატიფიკაციის გამო.
— ბესარაბიის მცხოვრებთ იმედი აქვთ, რომ ბესარაბია შეუერთდება საბჭოთა კავშირს.
— ოსმალეთისა და უნგრეთს შორის ხელშეკრულება დაიდო.
— ოსმალეთის გადაყენებული ხალიფა შვეიცარიაში არ შეუშვეს.
— საბერძნეთის პარტიებს შორის შეთანხმება საბერძნეთში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.
— ფიუმე იტალიამ შეიერთა.
— გაიხსნა ეგვიპტის ახალი პარლამენტი.

ДღეС — დღეს მსოფლიო პროლეტარიატი იგონებს პარიზის კომუნისათვის დაღუპულ გმირებს

იგონებს მათ, ვინც პირველათ სცადეს სახელმწიფოებრივი ძალაუფლების დაპყრობა შრომის განთავისუფლებლათ და მშრომელთა ჯალათების გასანადგურებლათ.

პარიზის კომუნა მოკვდა! გაიმარჯვა მოსკოვის კომუნამ! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!

„ცას შეუტიეს!“

ასე სწერდა მარქსი პარიზის კომუნარებზე.

ამ სიტყვებში ჩამოსხმულია სრული სინამდვილე პარიზის რევოლიუციის და ტრაღედიის კომუნის გმირების.

დაპირისპირებულს ორი არმიის წინააღმდეგ (საფრანგეთისა და გერმანიის) დანარჩენი ქვეყნისაგან მოწყვეტილს არა მარტო ამ არმიების გაუვალი ხიშტებით, არამედ სოფლის მცხოვრებთა შეუგნებლობით, პასივობით და, რაც უარესია, აშკარა მტრობით, მოკლებულს გარკვეული მიზნის, გამოცდილებისა და რევოლიუციონური ტაქტიკის მატარებელ, მტკიცე ორგანიზაციის მქონე მასიურ პარტიას, უნდა ებრძოლა პარიზის კომუნას. უნდა ებრძოლა, ვიმეორებთ მაშინ, როდესაც არ იყო კავშირი გლეხობასთან, არ იყო პარტიის დიქტატურა, ადგილი არ ქონდა მსოფლიო რევოლიუციონურ კრიზისს.

კიდევ მეტი.

კომუნა თავს უყრიდა წვრილ ბურჟუაზიულ ანარქისტებს—პრუდონისტებს, შეთქმულების კულტის წარმომადგენლებს — ბლანკისტებს და უპარტიო მუშებს. სახელმწიფოს „პრინციპიალურ“ მტრებს უნდა ებრძოლათ დიქტატურისთვის, სახელმწიფოს დასაპყრობათ, ბლანკისტები უნდა შესდგომოდნენ მათთვის უჩვეულო მუშაობას მასების ასამოძრავებლათ და მათზე დასაყრდნობათ, უპარტიო მუშებს უნდა ეწარმოებიათ ბრძოლა ისე, როგორც პარტიაში გამოწრთობილებს და ურთიერთშორის პარტიული დისციპლინით შედუღებულებს. მიუღწეველი აღმოჩნდა როგორც ერთი, ისე მეორე და მესამეც. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელი თავდაცვითი და აქტიური ძალები ორივე სახელმწიფოსი ფეხზე იყო დაყენებული ომის გამო და მზათ საერთო მტრის, „აბუნტებული“ მუშების მოძრაობის ჩასაკლავათ—ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ჭეშმარიტათ, 1871 წლის 18 მარტის აჯანყება პარიზში იყო „ცის შეტევა“. ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ კომუნა უნდა დამარცხებულიყო და ასეც მოხდა. გაერთიანებულმა ბურჟუაზიამ შური იძია თავიანთ სოციალ-პოლიტიკური განთავისუფლებისათვის ამდგარ მონებზე და სისხლში ჩაახრჩო პირველი დიდი ცდა შრომის განთავისუფლებისა, მოჰკლა კომუნა, აწამა კომუნარები.

ინგლისური გაზეთი „Evning Standard“-ის პარიზელი კორესპონდენტი ასეთ ცნობას აძლევდა იმ დღეებში (8 ივნისი 1871 წ.) თავის გაზეთს ამ ჯალათური სიმხეცის ორი (სხვა მრავალთა შორის) ეპიზოდის აწერით:

„მრავალი გვამი დამარხეს წმინდა იაკობის მოედანზე. ზოგიერთ მათგანს ძლივს ფარავდა მიწა. დღით ქუჩის ხმაურობა ყველაფერს ფარავდა, მაგრამ ღამით მახლობელ სახლებში მცხოვრებლები გამოაღვიძა ყრუ კვნესამ. ხოლო დილით დაინახეს მიწიდან ამოშვერილი შეკუმშული მუშტები. ამის გამო გაცემული იყო ბრძანება ამოეთხარათ ეს ცოცხალ-მკვდრები.

ცხადია, რომ ბევრი დაჭრილები ცოცხლათ იყვნენ დამარხულნი...

აი ფაქტი—სწერს კორესპონდენტი—რომლის დამტკიცება მე შემიძლია. ერთი მუშა ბრიუნელი და მისი ცოლი დახვრეტილი იყვნენ 24 მაისს ერთი სახლის ეზოში, ვანდომის მოედანზე. ისინი დატოვეს იქ 27 მაისამდე. როდესაც 27-ს მივიდნენ გვამების წასაღებათ, აღმოჩნდა რომ ქალი კიდევ ცოცხალი იყო და ის წაიყვანეს საავადმყოფოში“.

ასე გაუსწორდა ბურჟუაზია პარიზის აჯანყებულ პროლეტარიატს. საფრანგეთისა და გერმანიის გაბატონებულმა კლასებმა, რომლებიც ურთიერთ შორის ომს აწარმოებდნენ, ხელი გაუწოდეს ერთმანეთს და შეერთებული ძალებით შეუტიეს ფრანგ მუშებს. ისინი გამოვიდნენ შეთანხმებულათ და ამითაც დაანახვეს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს აუცილებლობა მათი ინტერნაციონალური სოლიდარობის საბოლოო მიზნების მისაღწევათ, ძველი ქვეყნის დასამხობათ.

პროლეტარიატის ინტერნაციონალურათ დაკავშირების საქმე ხელში აქვს დღეს საერთაშორისო კომუნიზმს, მის ორგანიზაციას, კომუნისტურ ინტერნაციონალს. მუშათა რევოლიუციამ ჰპოვა და ბოლოს კომპარტიაში ხელმძღვანელი, რომელიც არ ყავდა პარიზის კომუნას. ამ პარტიის წინამძღოლობით გაიმარჯვა ორმოცდაექვსი წლის შემდეგ დიდმა რუსეთის კომუნამ და მან შური იძია პარიზის რევოლიუციონერების ჯალათებზე. საბჭოთა კავშირი აღმართულია დღეს როგორც უძლეველი ციხე-სიმაგრე მსოფლიო კომუნისა, რომლის მოლოდინშია ძველი ქვეყანა.

პარიზის კომუნა მოკვდა, გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!

რას გვავალებს დღევანდელი დღე

პარიზის კომუნის 53 წლის თავს ჩვენ, საბჭოთა დიდი კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელები ვატარებთ საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების, ბურჟუაზიის მიერ ციხეებში გამომწყვდეულ, მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა დახმარების ლოზუნგის ქვეშ.

ამ ლოზუნგის დაკავშირება პარიზის კომუნის დღესთან შემთხვევითი არ არის.

53 წლის წინეთ, 1871 წლ. 18 მარტს, პარიზის მშრომელებმა ხელთ ჩაიგდეს ძალა-უფლება, შექმნეს მსოფლიოში პირველი მუშათა ხელისუფლება—პარიზის კომუნა.

მაგრამ მშრომელთა ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ბურჟუაზიამ მოკლე დროში შესძლო მყლეფელთა წინააღმდეგ აჯანყებულების ჩახრჩობა სისხლის მორევში.

ვისაც უნდა იქონიოს ნათელი წარმოდგენა ბურჟუაზიის სიმხეცეზე, ის პირველ ყოვლისა უნდა გაეცნოს პარიზის კომუნის ისტორიას.

30 ათას მშრომელზე მეტი დაიღუპა პარიზის კომუნის ბარიკადებზე. სისხლს მოწყურებული ბურჟუაზია განურჩევლად, გაუსამართლებლად ხოცავდა ყველას, კაცს თუ ქალს, ბავშვს თუ მოხუცებულს.

შრომის განთავისუფლების პირველი გრანდიოზული ცდა დამარცხდა.

მაგრამ არ დამარცხებულა ის იდეა, რომლისათვის თავი შესწირეს პარიზის მუშათა კლასის საუკეთესო შვილებმა ამ 53 წლის წინედ.

მას შემდეგ ბრძოლამ შრომასა და კაპიტალს შორის უფრო გარკვეული, ფართე და მკაცრი ხასიათი მიიღო.

ვინ მოსთვლის რამდენი ათეული და ასეული ათასი მუშის სისხლი დაიღვარა შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ამ 53 წლის განმავლობაში!

ბურჟუაზია, თავის აღსასრულის მოლოდინში, უკანასკნელ, გააფთრებულ იერიშებს აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ.

დღეს პარიზი, სადაც 58 წლის წინედ აფრიალდა წითელი დროშა წარმოადგენს მსოფლიო რეაქციის მთავარ ციხე-სიმაგრეს, დღეს პუანკარეს საფრანგეთი საერთაშორისო ჟანდარმის როლს ასრულებს.

დღეს კაპიტალის ციხეებში, ყველგან, გერმანიაში, იტალიაში, ბულგარეთში, „მუშათა მთავრობის“ ინგლისში და სხვაგან, სადაც ჯერ კიდევ მეფობს ბატ. კაპიტალი,—იტანჯება ასი ათასზე მეტი მებრძოლი.

მაგრამ ამასთან ერთად დღეს არის სხვა, უძლიერესი, უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტებიც.

53 წლის წინად მუშების პარიზი განმარტოვებულ კუნძულს წარმოადგენდა, მოწყვეტილს როგორც თავის ქვეყნის დანარჩენ ნაწილებისაგან, ისე მთელ მსოფლიოსაგან.

თვით კომუნარები გამოუცდელი იყვნენ და არა საკმაოდ შეკავშირებულნი. მათ არ გააჩნდათ დამრაზმველი, გზის მაჩვენებელი, ერთიანი ხელმძღვანელი—პროლეტარული, კომუნისტური პარტიის სახით.

დღეს მთელი მსოფლიო დასერილია მძლავრი კომუნისტური ორგანიზაციებით, რომელნიც გაერთიანებული არიან საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლი შტაბის, კომინტერნის დროშის ქვეშ.

დღეს მსოფლიო პროლეტარიატის ვერც ერთი რაზმი ვერ იგრძნობს თავს ობლად, განმარტოვებულად. ისე, როგორც არასოდეს, განმტკიცებულია მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა.

უფრო მნიშვნელოვანი ფაქტია გამარჯვებულ მშრომელთა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობა დედამიწის ერთ მეექვსედზე, საბჭოთა კავშირის ფარგლებში, რომელიც არის უმთავრესი ბურჯი და საწინდარი მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში პარიზის კომუნარებს უდიდესი ღვაწლი მიუძღვით. მათ მოგვცეს პირველი მაგალითი მუშათა სახელმწიფოს ორგანიზაციის, მათ ჩვენ გვასწავლეს რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდები, ჩვენ გამოვიყენეთ მათი შეცდომებიც. მათი თავდადება ყოველთვის იყო და არის წყარო მუშათა კლასის რევოლიუციონური ენერგიის.

ჩვენ დავალებული ვართ მათგან და უნდა გადაუხადოთ სამაგიერო. ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა დაღუპულ კომუნარების ხსოვნის არის მათ მიერ დაწყებულ საქმის ბოლომდი მიყვანა მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა დახმარება, რომელსაც ჩვენ დღეს ვეწევით, ამ მხრივ ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია.

ვეხმარებით და უმსუბუქებთ რა მძიმე ხვედრს ბურჟუაზიის საკნებში მოხვედრილ რევოლიუციონერებს, ჩვენ ამით ვემსახურებით არა მარტო მათ პირადად, არამედ ამასთან ხელს ვუწყობთ საერთაშორისო რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებას. ეს არ არის ქველმოქმედება, ვინაიდან ვემსახურებით ჩვენს საერთო საქმეს, ჩვენი გამარჯვების საქმესაც.

ჩვენი მორალური დ მატერიალური დახმარება ათეულ ათასობით კაპიტალის ციხეებში გამომწყვდეულ ამხანაგებისადმი გაამხნევებს მათ და იმ მუშათა კლასს, რომლის საქმისათვის ისინი იტანჯებიან, უფრო განამტკიცებს პროლეტარულ სოლიდარობას, შთაბერავს მათ ახალ იმედებს და ბრძოლის ხალისს.

ჩვენი აქტიური თანაგრძნობით და დახმარებით ზურგ-გამაგრებულნი, საზღვარგარეთელი ამხანაგები უფრო მედგრად განაგრძობენ ბრძოლას კაპიტალის ციხე-სიმაგრის დასანგრევად, მსოფლიო რევოლიუციისათვის.

გარეშე მსოფლიო რევოლიუციისა შეუძლებელია ჩვენი მონაპოვართა ხანგრძლივად შენარჩუნება, მათი გაღრმავება-გაფართოება.

ვეხმარებით რა რევოლიუციის მებრძოლთ, ამით ჩვენ ხელს უწყობთ შრომის განთავისუფლებას მსოფლიო მასშტაბით, მაშასადამე, ვაკეთებთ ჩვენს საკუთარ საქმესაც.

ეს გარემოება ჩვენ უნდა შევიგნოთ ყველამ და არაფერი დავიშუროთ რევოლიუციის მებრძოლთა, ბურჟუაზიის საკნებში გამომწყვდეულ ამხანაგების დასახმარებლად.

ჩვენ უნდა შევკრიბოთ შემოწირულებანი რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის საშუალებათა გასაძლიერებლათ; მოვფინოთ ამ ორგანიზაციის განყოფილებებით მთელი რესპუბლიკა; გავშალოთ ფართე კამპანია, რათა ამ ორგანიზაციებში წევრებად შევიდნენ ყველა მშრომელები და პატიოსანი მოქალაქენი, რომლებმაც უნდა მიიღონ მათ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა; მშრომელთა ამა თუ იმ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ შეფობა ბურჟუაზიულ ციხეებში დაპატიმრებულ რევოლიუციონერებზე.

ამ მიმართულებით ჩვენ გვაწევს დიდი მუშაობის ჩატარება. მაგრამ დიდია თვით მიზანი, რომლის განსახორციელებლად ჩვენ ვერ დავიშურებთ ენერგიას და საშუალებებს.

დღეს, პარიზის კომუნის 53 წლის თავზე, ჩვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად გაუწვდით ძმური დახმარების ხელს თეთრი ტერორის მსხვერპლთ, კაპიტალიზმის სამეფოებში მუშათა განთავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლ ამხანაგებს და ამით დავამტკიცებთ, რომ ჩვენთვის ძვირფასია პარიზის კომუნარების ხსოვნა, ძვირფასია ის საქმე, რომლისათვის იბრძოდნენ ისინი 53 წლის წინედ და დღეს იბრძვიან მათი მემკვიდრენი, ყველა ქვეყნის რევოლიუციონერები.

როგორ აწამეს კომუნარები

(ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთების პარიზელ კორესპონდენტების წერილები 1871 წ.)

I.

კომუნარების დახვრეტა.

„ტყვეების პარტია შეჩერდა ურიხის ხეივანში; ის დარაზმეს ტროტუარზე ოთხ-ხუთ მწკრივად პირისპირ. გენერალი მარკიზ-დე-გალლიფე და მისი შტაბი ჩქარობდენ და მარცხენა ფრთიდან დაიწყეს ხაზის დათვალიერება. გენერალი ნელ-ნელა მიიწევდა წინ და ათვალიერებდა რიგებს; დრო გამოშვებით ის ჩერდებოდა, დაადებდა რომელიმე ტყვეს მხარზე ხელს ან ანიშნებდა ვინმეს, უკანა რიგებში მდგომს, გამოსულიყო წინ. ამრიგად გადარჩეული ტყვეები მწკრივდებოდენ შუა ქუჩაში, სადაც უცრად შეადგენდენ მთელ მწყობრს.

ცხადია, რომ აქ დაშვებული იქნებოდა მრავალი შეცდომები. ერთმა ცხენზე მჯდომმა ოფიცერმა მიუთითა გენერალს ქალზე და კაცზე, რომელთაც ბრალს სდებდენ განსაკუთრებულ დანაშაულში. ქალი სასწრაფოდ გამოვიდა მწკრივიდან, დაეცა მუხლებზე და ხელაპყრობით დაიწყო თავისი უდანაშაულობის მტკიცება. გენერალმა დააცადა მას ლაპარაკი და როდესაც ის ერთი წუთით შეჩერდა, წარმოსთქვა სავსებით დამშვიდებულად, არავითარი მოძრაობა მის სახეს არ დასტყობია: „ქალბატონო, მე ვყოფილვარ პარიზის ყველა თეატრებში, ტყუილად დროს ნუ ჰკარგავთ კომედიის თამაშში (il ne vaut la peine de la comedie)...“

ვაი მას, ვინც განირჩეოდა სხვებისაგან სიმაღლით, სიბინძურით, სისუფთავით, წლოვანობით ან მოუხეშაობით. ერთი კაცი, როგორც მე შევამჩნიე, განთავისუფლებული იქნა ამ მიწიერ ჯოჯოხეთისაგან მხოლოდ თავისი ჩავარდნილი ცხვირის გამო...

ამრიგად გადაარჩიეს ასზე მეტი კაცი, მათ დასახვრეტად დატოვეს ერთი გუნდი ჯარისკაცები, ხოლო დანარჩენი პარტია წაიყვანეს წინ. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს ზურგს მოისმა თოფის სროლა, რომელიც გაგრძელდა დაახლოვებით 15 წუთს. ეს იყო უბედურების, გადარჩეულების და ყოველგვარი გასამართლების გარეშე დასჯილების ამოჟლეტა.“

პარიზელი კორესპონდენტი გაზეთ „დეილი ნევს“-ის, 8 ივნისი 1871 წ.

II

გენერალი გალლიფე.

ეს გალლიფე, რომელიც ცხოვრობდა თავის ცოლის ხარჯზე, ცოლის, რომელმაც გაითქვა სახელი თავისი სხეულის მეორე იმპერიის ორგიებზე გამოტანით, იყო ცნობილი ომის დროს საფრანგეთის პრაპორშჩიკის სახელით.

„ტან“-ი, ძლიერ დაკვირვებული გაზეთი, რომელსაც არ უყვარს სენსაციური ხმების გავრცელება, მოგვითხრობს შემაძრწუნებელ ამბებს იმ კომუნარებზე, რომლებსაც სავსებით არ ჰკლავდენ და მარხავდენ ცოცხლად.

„მრავალი გვამი დამარხეს წმინდა იაკობის მოედანზე, ზოგიერთ მათგანს ძლივს ფარავდა მიწა. დღით ქუჩის ხმაურობა ყველაფერს ფარავდა, მაგრამ ღამით მახლობელ სახლებში მცხოვრებლები გამოაღვიძა ყრუ კვნესამ, ხოლო დილით დაინახეს მიწიდან ამოშვერილი შეკუმშული მუშტები. ამის გამო გაცემული იყო ბრძანება ამოეთხარათ გვამები...

ცხადია, რომ ბევრი დაჭრილები ცოცხლად იყვნენ დამარხულნი...

აი ფაქტი, რომლის დამტკიცება მე შემიძლია. ბრიუნელი და მისი ცოლი დახვრეტილი იყვნენ 24 მაისს, ერთი სახლის ეზოში ვანდომის მოედანზე; ისინი იქ დატოვეს 27 დღ-

როდესაც 27 მივიდნენ გვამების წასაღებად, აღმოჩნდა, რომ ქალი ცოცხალი იყო და ის წაიყვანეს საავადმყოფოში.

მიუხედავად იმისა, რომ ის დაჭრილია ოთხი ტყვიით, მას არავითარი საფრთხე არ მოელის“.

პირველი კორესპონდენტი გაზეთ „ევენინგ სტანდარტ“-ის, 8 ივნისი, 1871 წ.

პარიზის კომუნა

(ნაწყვეტები კ. მარქსის შრომიდან: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“)



კარლ მარქსი

I

1871 წლის 18 მარტს პარიზი გამოღვიძებულ იქნა მქუხარე ყიჟინით: „გაუმარჯოს კომუნას!“

რა არის ეს კომუნა, ეს სფინქსი, რომელმაც ასეთი მძიმე ამოცანა დაუყენა ბურჟუაზიულ აზროვნებას?

„პარიზის პროლეტარებმა,—სწერდა 18 მარტის მანიფესტში ცენტრალური კომიტეტი,—იგრძნეს რა დამარცხება და გაბატონებულ კლასების ღალატი, გაიგეს, რომ დადგა დრო, როდესაც მათ თვითონ უნდა დაიცვან ქვეყანა და ხელში აიღონ საზოგადოებრივი საქმეების მართვა-გამგეობა... ისინი მიხვდენ, რომ მათი მოვალეობაა, რომ მათ უდავო უფლებას შეადგენს გახდენ თავიანთი ბედის გამგენი და თავიანთ ხელში ჩაიგდონ მთავრობის ძალაუფლება“.

მაგრამ მუშათა კლასს არ შეუძლია დაიპყრას მზა-მზარეული სახელმწიფოებრივი მანქანა და თავისი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს იგი.

ცენტრალისტური სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, თავის ყველგან არსებული ორგანოებით, რომელიც დამყარებულია სისტემატიური და იერარქიულ განაწილების პრინციპზე: რეგულიარული არმიით, პოლიციით ბიუროკრატიით, სასულიერო წოდებით და მოსამართლეებით, არსებობს აბსოლიუტურ მონარქიის დროიდან, როდესაც იგი უძლიერეს იარაღს წარმოადგენდა მაშინ ამომავალი ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში,* მაგრამ ადგილობრივი და აზნაურული პრეროგატივები, ადგილობრივი პრივილეგიები, ქალაქებისა და ციხეების მონოპოლიები და პროვინციალური დებულებები,—ყველა ეს საშუალო საუკუნოების ნაშთები აფერხებდენ მის განვითარებას. საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლიუციის უძლეველმა ცეცხლმა გაგავა წარსული საუკუნოების გამოუსადეგარი ნაგავი და გასწმინდა ამგვარად საზოგადოებრივი ნიადაგი უკანასკნელი დაბრკოლებებისაგან თანამედროვე სახელმწიფოს შენობის მოსაწყობად. ეს შენობა აღმართული იქნა პირველ იმპერიის დროს, რომელიც თავის მხრივ გამოწვეული იყო ძველი ნახევრად ფეოდალურ ევროპის კოალიციონურ ომებით ახალი საფრანგეთის წინააღმდეგ.

ბატონობის ფორმების შემდეგი განვითარების დროს, მთავრობა დაუქვემდებარდა პარლამენტის კონტროლს, ე. ი. შეძლებულ კლასების უშუალო კონტროლს. ერთის მხრივ იგი გადაიქცა აურაცხელ სახელმწიფოებრივი ვალების და მძიმე გადასახადების გამავრცელებლად, იგი გახდა უთანხმოების მიზეზი გაბატონებულ კლასების მეტოქე ფრაქციებსა და ავანტიურისტებს შორის, რომელთაც იგი იზიდავდა თავისი ადმინისტრატიული ძალით, შემოსავლით და თანამდებობებით, რომელიც მის ხელში იმყოფებოდა; მეორეს მხრივ საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებათა ზეგავლენით შეიცვალა მისი პოლიტიკური ხასიათიც იმისდამიხედვით, თუ როგორ ანვითარებდა, აფართოვებდა და აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას კაპიტალსა და შრომის შორის თანამედროვე მრეწველობის პროგრესი. სახელმწიფოებრივი ხელისუფლება უფრო და უფრო იღებდა ისეთ საზოგადოებრივ ძალის ხასიათს, რომელიც ემსახურებოდა მუშათა კლასის დამონავებას, იღებდა კლასიურ ბატონობის იარაღის ხასიათს. თვითეულ რევოლიუციის შემდეგ, რომელიც წარმოადგენდა ერთ ნაბიჯს წინ კლასობრივ ბრძოლაში, სახელმწიფოებრივი ხელისუფლებას, როგორც ჩაგვრის იარაღის ხასიათი უფრო და უფრო ნათელი ხდება“.

II.

კომუნა იყო პირდაპირ მოწინააღმდეგე იმპერიისა. ლოზუნგი: „გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას“, რომლითაც პარიზის პროლეტარიატი ესალმებოდა თებერვლის რევოლიუციას, გამოხატავდა მხოლოდ გაურკვეველ ლტოლვას ისეთ რესპუბლიკისაკენ, რომელიც არა მარტო მოსპობდა კლასიურ ბატონობის მონარქისტულ ფორმას, არამედ თვით კლასიურ ბატონობასაც მოუღებდა ბოლოს. კომუნა არ იყო ასეთი რესპუბლიკის განსაზღვრული ფორმა.

პარიზი, ძველი მთავრობის ყოფილი რეზიდენცია და ცენტრი აგრეთვე საფრანგეთის მუშათა კლასის საზოგადოებრივი ცენტრი,—პარიზი იარაღით ხელში აჯანყდა ტიერს და მემამულეთა პალატის ცდას, აღედგინათ და განემტკიცებიათ ეს ძველი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, რომელიც იყო ძველი იმპერიის მემკვიდრე.

პარიზს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ვერსალისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ალყის შემოარტყმამ გაანთავისუფლა იგი არმიისაგან, რომლის ადგილი დაიკავა ეროვნულმა გვარდიამ, რომლის უმეტესი ნაწილი მუშებისაგან შესდგებოდა. ამიტომ კომუნის პირველი დეკრეტი იყო დეკრეტი რეგულიარული ჯარის დაშლის და მისი შეიარაღებული ხალხით შეცვლის შესახებ.

კომუნა შედგენილი იქნა მუნიციპალური მრჩევლებისაგან (ქალაქის ხმოსანთაგან), რომელნიც არჩეული იყვნენ პარიზის ოლქის მიერ საყოველთაო კენჭის ყრით. მისი წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი და მათი შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა. მათ უმრავლესობას, როგორც ეს თავის თავად იგულისხმება, შეადგენდენ მუშები ან მუშათა კლასის ცნობილი წარმომადგენლები. კომუნა უნდა ყოფილიყო არა საპარლამენტო დაწესებულება, არამედ საქმიანი კოლეგია, რომლის ხელში იქნებოდა როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ძალა-უფლება. პოლიციას, რომელიც მანამდე იყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იარაღი, დაუყოვნებლივ ჩამოართვეს ყველა მისი პოლიტიკური უფლებები და იგი გადაიქცა კომუნის პასუხისმგებელ იარაღად, რომლის შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა.

ასეთივე ბედი ეწვიათ მოხელეებს და მართვა-გამგეობის სხვა დარგებს. დაწყებული კომუნის წევრებიდან და გათავებული ქვედა ფენებით, საზოგადოებრივ თანამდებობის პირთ ეძლეოდათ ჯამაგირები ხელფასის რაოდენობის მიხედვით.

პრივილეგიები და ჯამაგირები წარმომადგენლებისათვის, რომლებიც სარგებლობდენ მაღალი თანამდებობის პირნი, მოისპო მათთან ერთად. საზოგადოებრივი თანამდებობანი აღარ შეადგენდა ცენტრალურ მთავრობის კრეატურის კერძო საკუთრებას. არა მარტო ქალაქის თვითმართველობა, არამედ მთელი ინიციატივა, რომელიც მანამდე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, გადავიდა კომუნის ხელში.

დაშალა რა რეგულიარული არმია და პოლიცია—ძველი მთავრობის მატერიალური ძალის ეს იარაღი, კომუნა დაუყოვნებლივ შეუდგა სასულიერო წოდების ძალა-უფლების, სულიერი დამონავების ამ იარაღის დამხობას: მან დეკრეტით დააკანონა ყველა ეკლესიების დაშლა და ექსპროპრიაცია, რამდენადაც ეს ეკლესიები იყვნენ ქონების მესაკუთრე კორპორაციები. მღვდლები უნდა დაბრუნებოდნენ კერძო ხალხთა ჩვეულებრივ ცხოვრებას და მათი წინაპრების—მოციქულების მსგავსად ეცხოვრათ მორწმუნეთა მოწყალებით. ყველა სასწავლებლები ეკლესიის და სახელმწიფოს გარეშე უფასო გახდენ ყველასათვის. ამგვარად სასკოლო განათლება ყველასათვის მისაწვდომი გახდა: მეცნიერებას მოეხსნა კლასობრივ ცრუმორწმუნეობით და მთავრობის მიერ დადებული ბორკილები.

მოსამართლეებს წაერთვათ ის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა, რომელიც მხოლოდ ფარავდა მათ მორჩილებას რიგ-რიგობით შეცვლილ მთავრობებისადმი; ისინი ყოველ მთავრობას აძლევდენ ფიცს ერთგულებისას და ყოველ მათგანს ღალატობდენ. როგორც საზოგადოების სხვა თანამდებობის პირნი, ისინიც ხალხის მიერ ირჩეოდენ, იყვნენ პასუხისმგებელნი და კიდეც შეიძლებოდა მათი შეცვლა.

პარიზის კომუნა უნდა ყოფილიყო ბუნებრივი ნიმუში საფრანგეთის ყველა სამრეწველო ცენტრებისათვის. თუ კომუნა დამყარდებოდა პარიზში და მეორეხარისხოვან ცენტრებში, ძველი ცენტრალისტური მთავრობა პროვინციებშიაც დაუთმობდა ადგილს მწარმოებელთა თვითმართველობას. ნაციონალურ ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვაში, რომლის ფართოთ დამუშავება კომუნამ ვერ მოასწრო, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ კომუნა უნდა გახდეს პოლიტიკური ფორმა სულ პატარა სოფლებისაც კი და რომ მუდმივი ჯარი მთელ ქვეყანაში უნდა იქნას შეცვლილი სახალხო მილიციით, სულ მოკლე ვადიან სამსახურით.

ოლქის მთავარ ქალაქში გამართულ რწმუნებულთა კრებას უნდა განეგო თვითეულ ოლქის ყველა სოფლების თემთა საერთო საქმეები, ხოლო ამ საოლქო კრებებს უნდა გაეგზავნათ რწმუნებული ნაციონალურ კრებაში, რომელიც პარიზში იყო მოწვეული; რწმუნებულებს სისწორით უნდა აესრულებიათ თავიანთ ამომრჩევლების ინსტრუქციები და შეეძლოთ შეცვლილი ყოფილიყვნენ ყოველ-დროს. მცირეოდენი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელიც ცენტრალურ მთავრობის ხელში დარჩა, არ უნდა ყოფილიყო გაუქმებული, როგორც ამას აღნიშნავდენ კომუნის მტრები, არამედ ეს ფუნქციები უნდა გადასცემოდა კომუნალურ მოხელეებს, რომელნიც იყვნენ სასტიკად პასუხისმგებელნი. კომუნალური აღმშენებლობა კი არ შლიდა, არამედ, პირიქით, ამტკიცებდა ერის მთლიანობას, ეს მთლიანობა უნდა გამხდარიყო რეალობათ იმ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოსპობის შემდეგაც, რომელიც სთვლიდა თავს ამ მთლიანობის განსახიერებლად და რომელიც ფიქრობდა დამდგარიყო ერის ზევით და მისგან დამოუკიდებლად, ხოლო სინამდვილეში კი იგი იყო პარაზიტი ერის სხეულზე.

ამხობდა რა ძველი მთავრობის იმ ორგანოებს, რომელიც მხოლოდ ჩაგვრას ემსახურებოდენ, კომუნა ხელიდან გლეჯდა ამ მთავრობას მის კანონიერ ფუნქციებს და აძლევდა მათ საზოგადოების პასუხისმგებელ მოსამსახურეებს.

საყოველთაო კენჭის ყრის უფლებ მანამდე ჰქონდა ხალხს ყოველ სამ ა 6 წელში გაბატონებულ კლასის რომელიმე წევრის ასარჩევად, რომელიც წარმოადგენდა პარლამენტში და არსებითად კი სჩაგრავდა ხალხს, ეხლა კი ეს უფლება უნდა გამხდარიყო კომუნაში დარაზმულ ხალხისათვის ისეთსავე უფლებათ, როგორიც იყო თვითეულ დამქირავებლის ინდივიდუალური ხმის უფლება თავის წარმოებისათვის მუშების, ზედამხედველების და ბუხჰალტერების გამონახვის დროს. საზოგადოებაც, ისევე, როგორც ცალკე პირები, ყოველთვის არჩევდა თავის პრაქტიკულ ნაწარმოებისათვის შესაფერ ადამიანების გამონახვას, და თუ ზოგჯერ სცდებიან, ძალიან ჩქარა ასწორებენ თავიანთ შეცდომებს. მეორეს მხრივ კომუნა, თავისი შინაარსით, წინააღმდეგი იყო საყოველთაო ხმის მიცემის იერარქიულ ან ვესტიტიურით შეცვლისა.

III

საზოგადოების ყველა ახალი ისტორიული ფორმები ჩვეულებრივათ ითვლებიან უფრო ძველ, დრომოჭმულ საზოგადოებრივ ცხოვრების ანარეკლათ, რომელსაც ისინი ასე თუ ისე ჰგვანან. სწორეთ ამგვარადვე, ახალ კომუნასაც, რომელმაც დაამხო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, სთვლიან საშუალო საუკუნოების იმ კომუნების აღორძინებათ, რომელნიც წინ უსწრებდენ ამ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას და შეადგენდენ მის საფუძველს. კომუნალურ აღმშენებლობას შეცდომით სთვლიდენ ცდათ შეეცვალათ პატარა სახელმწიფოების კავშირით (რომელზედაც ოცნებობდენ მონტესკიე და ჟირონდისტები) დიდი ერების გაერთიანება, რომელიც თუმცა ძალდატანებით იყო მოხდენილი, მაგრამ ეხლა მძლავრ ფაქტორად გადაიქცა საზოგადოებრივ წარმოებისათვის.

კომუნის ანტაგონიზმს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებასთან შეცდომით სთვლიდენ ცენტრალიზაციის წინააღმდეგ წარმოებულ ძველი ბრძოლის გადამეტებათ. ზოგიერთ ქვეყნებში მთავრობის იმ ბურჟუაზიულ ფორმის განვითარებას, რომლის ნიმუშად ითვლება საფრანგეთი, ხელს უშლიდენ ზოგიერთი ისტორიული პირობები; ამ პირობებმა შექმნეს მაგ. ის, რომ ინგლისის მთავარ ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ორგანოებს ავსებენ საეკლესიო კრებები (vestries), ქალაქის საბჭოების ანგარიშის მოყვარე წევრები, ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა გამკითხველი მზრუნველები და სოფლებში ფაქტიურად მემკვიდრეობით მოწრიგებული მოსამართლეები. ყველა ისეთი ძალებს, რომლებსაც მანამდე საზოგადოებრივი ორგანიზმი ჰკარგავდა

ჯალათები კომუნის



„კაცი, რომელსაც ეცინება“
ტიერი



გენერალი გალიფე



დახვრეტილი კომუნარები
(28 მაისის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ერთი ყაზარმის ეზოში).

პარიზის კომუნართა ხსოვნას

მსოფლიო მშრომელთ ფიქრი ფაქიზი
თავს დასტრიალებს უდიდეს საფლავს;
ახლით იცვლება ძველი პარიზი
და დღე-დღე ელის ბრწყინვალე ვარსკვლავს!

მწვავ ნაღველს ტკბილი ნექტარი ახლავს,
წარსულს მყობადი დრო აღიარებს;
გაკვლეული გზა მძიმე წყლულს მოჰკლავს
და მომავალი მოსპობს იარებს!

წითელი დროშის თბილი სხივები
არღვევენ კლდეებს, ამსხვრევენ კედლებს
და სწრაფად მსრბოლი გმირთა მწკრივები
გაკვეთილებით აგებენ ძეგლებს!

დღეს აღარ არის ქოხში ხიზანი,
რომ გულში იმედს არ აკვესებდეს,
არ დაესახოს დიდი მიზანი
და იდეალი არ ამხნევებდეს!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

„სახელმწიფოს" ამ საზოგადოების სისხლის მსმელ პარაზიტის წყალობით, ყველა ამ ძალებს ხელახლა დაუბრუნებდა მას კომუნალური წესწყობილება. მხოლოდ ამით იგი ხელს შეუწყობდა საფრანგეთის აღორძინებას.

პროვინციალურ ქალაქების ბურჟუაზია ხედავდა კომუნაში ცდას აღედგინა ის ბატონობა სოფელზე, რომლითაც ის სარგებლობდა ლუიფილიპეს დროს და რომელიც ლუიბონაპარტეს დროს მოსპობილ იქნა სოფლების მოჩვენებითი ბატონობით ქალაქებზე. ნამდვილად კი კომუნას სურდა დაემორჩილებია ის მწარმოებლები ახლო მდებარე ქალაქების გონებრივ ზეგავლენისათვის და უზრუნველ ეყო ქალაქის მუშათა წარმომადგენლობაში მათი ინტერესები. კომუნის მხოლოდ არსებობის ფაქტიდან ბუნებრივად გამომდინარეობდა ადგილობრივი თვითმართველობა, მაგრამ ეს ადგილობრივი თვითმართველობა არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საწინააღმდეგო, რომელიც სრულიად ზედმეტად ითვლებოდა. მხოლოდ რომელიმე ბისმარკს, რომელიც ინტრიგებისაგან მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა თავის ძველ, მის გონებრივ განვითარების შესაფერისს გაზ. „Kladderadatsch"-ის თანამშრომლობას,—მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო ეფიქრა, რომ პარიზის კომუნა, არსებითად, ილტვოდა პრუსიის საქალაქო წესწყობილებისაკენ—საფრანგეთის 1791 წლის ქალაქის წესწყობილების კარიკატურისაკენ, რომელიც ქალაქის საბჭოებს პრუსიის სახელმწიფოებრივ პოლიციურ მექანიზმის მეორეხარისხოვან ორგანიზაციად სახავდა.

მოსპო რა არმიის და მოხელეების შესანახი მთავარი ხარჯები, კომუნამ განახორციელა ყველა ბურჟუაზიულ რევოლიუციების იდეალი—იაფი მთავრობა. თვით მისი არსებობა იყო უარყოფა მონარქიისა, რომელიც არის ევროპაში კლასიური ბატონობის ჩვეულებრივი ბალასტი და აუცილებელი ნიღაბი. კომუნამ შეუქმნა რესპუბლიკას ნამდვილ დემოკრატიულ დაწესებულებათა საფუძველი. მაგრამ არც იაფი მთავრობა და არც „ჭეშმარიტი რესპუბლიკა" არ იყო მისი საბოლოო მიზანი; ერთიც და მეორეც თავად, სხვათა შორის, მოეწყო.

კომუნის მნიშვნელობის სხვადასხვაგვარი დაფასება, სხვადასხვა ინტერესები, რომელსაც ის გამოხატავდა, ამტკიცებს, რომ იგი იყო გაზვიადებული სახელმწიფოებრივი ფორმა იმ დროს, როდესაც მთავრობების ძველი ფორმები არსებითად იყვნენ ჩაგვრის ფორმები.

მისი საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებითად იყო მუშათა კლასის მთავრობა, მწარმოებელთა და გაყვლეფილ გლეხთა შორის წარმოებულ ბრძოლის შედეგი ისეთი დიდი ხნის წინად სანატრელი ფორმა, რომლის დროსაც მოხდებოდა შრომის განთავისუფლება.

ამ უკანასკნელ პირობის გარეშე კომუნა წარმოუდგენელია, უამისოთ იგი—უბრალო მოჩვენებაა.

მწარმოებელთა პოლიტიკურ მოგონებას არ შეუძლია იარსებოს სოციალურ დამონავების გვერდით.

ამიტომ კომუნა უნდა გამხდარიყო იარაღად იმ ეკონომიურ საფუძვლების დანგრევისათვის, რომელზედაც დამყარებულია კლასების არსებობა, და მაშასადამე კლასიური ბატონობაც, რადგანაც შრომა განთავისუფლდება, ყველანი მუშებათ გახდებიან და საწარმოო შრომა აღარ იქნება ერთი რომელიმე კლასის კუთვნილება.

უცნაური ამბავია: ჩაიგდებენ თუ არა მუშები თავის ხელში მთელ საქმეს, მაშინვე მიუხედავათ ყოველივე იმისა, რაც ამ უკანასკნელ 60 წლის განმავლობაში იწერებოდა შრომის განთავისუფლების შესახებ, გაისმის თანამედროვე საზოგადოების დამცველთა ჰიმნები, მისი ორი მოწინააღმდეგე პოლიუსებით: კაპიტალით და დაქირავებულ შრომის მონობით (მიწის მესაკუთრეები არიან ეხლა მხოლოდ კაპიტალისტების უსიტყვო კომპანიონები), თითქოს კაპიტალისტური საზოგადოება ჯერ კიდევ ქალწულებრივ სისპეტაკეში და უბრწყინვალობაში იმყოფებოდეს! თითქოს არ იყოს განვითარებული მისი საფუძვლები, არ გამომჟღავნებულიყოს მისი თვალთმაქცობა, არ გამოაშკარავებულიყოს მისი გახრწნილი სინამდვილე! კომუნარსო, ამბობენ ისინი, სურს მოსპოს კერძო საკუთრება, მთელი ცივილიზაციის საფუძველი! დიახ, მოწყალეო ხელმწიფენო, კომუნას სურდა მოესპო ის კლასიური საკუთრება, რომელიც მრავალთა შრომას რამდენიმე პირთა სიმდიდრეთ აქცევს. მას სურდა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. მას სურდა მართლაც შეექმნა ინდივიდუალური საკუთრება და საწარმოვო საშუალებანი—მიწა და კაპიტალი, რომელიც უპირველეს ყოვლისა დამონავების და შრომის ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს, გადაექცია თავისუფალ და გაერთიანებულ შრომის იარაღად.

მაგრამ ეს ხომ კომუნიზმია, „შეუძლებელი" კომუნიზმი! მაგრამ გაბატონებულ კლასთა შორისაც გამოინახენ ისეთი ადამიანები, რომელთაც გაიგეს, რომ დღევანდელი საქმის ვითარება დიდხანს არ გასტანს. ისინი გახდენ კოოპერაციულ წარმოების მაზეზარა და მყვირალა მოციქულები. და თუ კოოპერატიული წარმოება ცალიერი სიტყვები და მოტყუება არ არის, თუ მან უნდა განდევნოს კაპიტალისტური სისტემა, თუ ასოციაციები აწყობენ ნაციონალურ წარმოებას საერთო გეგმით, და თავის გამგეობაში აიღებენ ამ წარმოებას და მით ბოლოს მოუღებენ მუდმივ ანარქიას [illegible] მულსიებს,—რომელიც აუცილებელია კაპიტალისტურ წარმოების დროს,—განა ეს არ იქნება, გეკითხებით თქვენ, მოწყალეო ხელმწიფენო, კომუნიზმი, „შესაძლებელი" კომუნიზმი?

მუშათა კლასი არ მოითხოვდა სასწაულებს კომუნისაგან, იგი არ ფიქრობს განახორციელოს სახალხო გადაწყვეტილების საშუალებით დამზადებული დასრულებული უტოპიები. მან იცის, იმისათვის, რომ მიაღწიოს თავის განთავისუფლებას და ცხოვრების მაღალ ფორმას, რომლისაკენაც ილტვის თანამედროვე საზოგადოება თავისი ეკონომიური განვითარების ძალით, მას მოუხდება მედგარი ბრძოლის წარმოება, მთელი რიგი იმ ისტორიულ პროცესების გამოვლა, რომელიც სავსებით შეცვლიან ადამიანებს და გარემოებებს. მუშათა კლასს მოელის არა რომელიმე იდეალების განხორციელება, არამედ იმ ახალი საზოგადოების ელემენტებისათვის გასაქანის მიცემა, რომელიც უკვე განვითარდა დაშლის პროცესში მყოფ ბურჟუაზიულ საზოგადოების წიაღში.

მთელი თავისი ისტორიული მოწოდების შეგნებით, გმირულ გამბედაობით აღსავსე—მუშათა კლასს შეუძლია უპასუხოს ზიზღიანი ღიმილით მეგაზეთე-ლაქიების გათახსირებულ ლანძღვაზე და ბურჟუა დოქტრინიორების კეთილ ზრახვებით აღსავსე მეცნიერულ დარიგებებზე, რომელნიც უცოდველი ორაკულის ხმით ქადაგებენ თავის ცრუ მოძღვრებას და სთავაზობენ მათ მიერ შეთხზულ რეცეპტებს.

როდესაც პარიზის კომუნამ მიიღო რევოლიუციის ხელმძღვანელობა, როდესაც უბრალო მუშებმა პირველად გადასწყვიტეს ხელი შეეხოთ თავის „ბუნებრივ უფროსის" პრივილეგიისათვის, სახელდობრ, მართვა-გამგეობის პრივილეგიისათვის,—ისინი შეუდგნენ მუშაობას მეტად მძიმე პირობებში და ასრულებდენ ამ მუშაობას კეთილსინდისიერათ და წარმატებით; მათი ჯილდო არ აღემატებოდა იმ ჯამაგირის ერთ მეხუთედს, რომელსაც ღებულობდა, ცნობილ ავტორიტეტის—პროფესორ გექსლის სიტყვით, ლონდონის სასკოლო საბჭოს მდივანი. ძველი მსოფლიო იკლაკნებოდა სიბრაზისაგან, როდესაც მან დაინახა წითელი დროშა—შრომის რესპუბლიკის სიმბოლო ქალაქის რატუშაზე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკრახტა"-ს ცნობები)

ვინ იქნება შემდეგი?

ჩინეთმა იურიდიულათ იცნო საბჭოთა კავშირი

ამხ. კარახანმა უკვე მოაწერა ხელი წინასწარ შეთანხმებას. საბოლოო ხელშეკრულება მოკლე ხანში იქნება დადებული.

შვეციამ იურიდიულათ იცნო საბჭოთა კავშირი

სტოკჰოლმში ხელი მოაწერეს რუსეთ-შვეციის სავაჭრო ხელშეკრულებას.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ სავაჭრო წარმომადგენლად ოსმალეთში დანიშნა ამხ. ანიკეევი.

ამ დღეებში მოსკოვში მოელიან სპარსეთის ახალ სრულუფლებიან წარმომადგენელს.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს იტალიაში ამხ. იურენევს დიდი ზეიმით შეხვდენ რომში. ამხ. იურენევს საუბარი ჰქონდა მუსოლინისთან.

კანადის პრემიერ მინისტრის მოადგილემ მიიღო საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაცია. დელეგაციას განზრახვა აქვს სავაჭრო ხელშეკრულება დასდვას კანადასთან.

ჩინეთმა და შვეციამ იცნო საბჭოთა კავშირი

ჩინეთი

მოსკოვი. 17 მარტი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა მიიღო ცნობა, რომ ჩინეთის მთავრობასთან მოხდა შეთანხმება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის შორის დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების შესახებ.

პეკინი. 15 მარტი. ჩინეთის მთავრობამ და კარახანმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას. საბოლოო შეთანხმება რამდენიმე დღის შემდეგ იქნება ხელმოწერილი

იმპერიალისტური ვერაგული ცდა

პეკინი. 15 მარტი. წინასწარ შეთანხმების ხელის მოწერის წინ, რომელი შეთანხმებაც ითვალისწინებს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შორის ნორმალურ ურთიერთობის განახლებას, იმპერიალისტური სახელმწიფოები შეეცადენ ჩაეშალათ შეთანხმება. საფრანგეთის ელჩმა პეკინში გადასცა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა, რომელიც აფრთხილებს ჩინეთს იმ სერიოზულ შედეგების შესახებ რომელიც მოყვება ყოველგვარ შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, რადგან შეთანხმება სცვლის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მდგომარეობას რუსეთ-აზიის ბანკის თანხმობის გარეშე, რომელიც არის ფაქტიურად საფრანგეთის ხელში.

ნოტაში ნათქვამია, რომ ბანკის ინტერესების დასაცავად ხმას აღიმაღლებს არა მარტო საფრანგეთი, არამედ სხვა სახელმწიფოებიც.

შვეცია

სტოკჰოლმი. 15 მარტი. შვეციის გარეშე საქმეთა მინისტრმა შვეციის პრემიერის კრიუგერის თანდასწრებით გადასცა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ნოტა საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის შესახებ. სავაჭრო ხელშეკრულებას ხელს აწერენ ოსინსკი და ლეგრანი.

საბჭოთა კავშირი და იტალია

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის საზეიმო შეხვედრა.

რომი. 15 მარტი. რომში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იურენევი, რომელსაც ზეიმით შეხვდა იტალიის ჯარები. სადგურზე მას შეხვდენ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის და სავაჭრო წარმომადგენლობის წარმომადგენლები, იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს საერთო დეპარტამენტის დირექტორი და მუსოლინის კაბინეტის უფროსი.

ამხ. იურენევის საუბარი მუსოლინთან

რომი. 15 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში მიიღო მუსოლინიმ. ჟურნალისტებთან საუბრის დროს იურენევმა განაცხადა, რომ რუსეთ-იტალიის ხელშეკრულება ფართო პერსპექტივებს შლის ორთავე სახელმწიფოს შორის ეკონომიურ ურთიერთობის განსავითარებლად. ხელშეკრულება ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის პურის და ნახშირის ექსპორტს იტალიაში და იტალიის ფაბრიკატების იმპორტს საბჭოთა კავშირში.

თუმცაღა ფაშიზმი პირდაპირი მოწინააღმდეგეა კომუნიზმის, მაგრამ საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა კავშირის ერები, იცავენ რა მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, ურთიერთობას იჭერენ იმ მთავრობებთან, რომლებიც არსებობენ იქ. საბჭოთა კავშირის მთავრობის და ერების დამოკიდებულებას იტალიის მთავრობისადმი მოწმობს ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება დაამტკიცა საკავშირო ცაკმა, რომელიც გამოხატავს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების სურვილს.

კანადა

საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაცია კანადაში.

ნიუ-იორკი, 15 მარტი. კანადის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ გრახამმა მიიღო საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე იაზიკოვი და მისი მოადგილე—კულიკი, მიესალმა დელეგაციას და საათნახევარს ესაუბრა მას.

იაზიკოვი ესაუბრა აგრეთვე ფინანსთა, სავაჭრო და შრომის მინისტრებს. ირჩეოდა საკითხები საბჭოთა კავშირთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების შესახებ.

რუსეთ-კანადის სავაჭრო ხელშეკრულება

ნიუ იორკი, 15 მარტი. ხვალ შესდგება საბჭოთა დელეგაციის წევრების თათბირი კანადის მთავრობის წარმომადგენლებთან. **დელეგაციას განზრახული აქვს დასდოს კანადასთან სავაჭრო შეთანხმება, ანალოგიური საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის არსებულ სავაჭრო ხელშეკრულებისა.**

ოსმალეთი

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ოსმალეთში.

მოსკოვი. 17 მარტი. **საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად ოსმალეთში დანიშნა ამხ. ანიკეევი.**

სპარსეთი.

სპარსეთის ახალი ელჩი მოსკოვში.

მოსკოვი. 17 მარტი. მოსკოვში ჩამოდის სპარსეთის საგანგებო ელჩი მოხამერულ მამა ლიკი. მასთან ერთად თეირანიდან მოსკოვში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შუმიაცკი.

ბესარაბიის საკითხის გარშემო

ამხ. ჩიჩერინის საპროტესტო ნოტა

მოსკოვი. 17 მარტი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარი ამხ ჩიჩერინი საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის პუანკარესადმი გაგზავნილ ნოტაში, **გამოსთქვამს პროტესტს პალატის მიერ ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების რატიფიკაციის წინააღმდეგ, მიუხედავად საფრანგეთის ფორმალურ განცხადებისა ბესარაბიის ოკუპაციის დროს, რომ ოკუპაცია იქნება დროებითი.**

ლაქიების მადლობა

მადლობის გამოცხადება დაპყრობის რატიფიკაციისათვის.

ვენა. 15 მარტი. რუმინეთის ფინანსთა მინისტრმა ბრატიანუმ პარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც რუმინეთის ხალხის და მთავრობის სახელით მადლობა გამოუცხადა პუანკარეს და საფრანგეთის პალატას ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების რატიფიკაციის გამო.

მდგომარეობა ბესარაბიაში

ბესარაბიის მცხოვრებთ იმედი აქვთ.

ვენა. 15 მარტი. ბესარაბიის საზოგადოებრივი წრეები მეგობრულად არიან განწყობილნი საბჭოთა კავშირისადმი. გაზეთებში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაცხოველებულად იხილავენ საკითხს საბჭოთა კავშირის მიერ მოთხოვნილ პლებისციტის შესახებ.

უცხოელების მასიური გადასახლება.

ვენა. 15 მარტი. რუმინეთის ფარული პოლიცია მასიურად ასახლებს ბესარაბიიდან და ბუკოვინიდან უცხოელებს. პოლიციის ხელისუფლებამ გასცა ბრძანება გადაასახლონ ყველა უცხოელები, მათ შორის მუშებიც.

საბჭოთა ხელისუფლების მორიგი გამარჯვება სატრანსპორტო ფრონტზე

შორაპნის რკინის გზის ხიდის საზეიმო გახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორაპნის ახალი ხიდი

ხიდის საზეიმო გახსნა

ხიდის შემოწმება.

16 თებერვალს ტფილისიდან საგანგებო მატარებლით შორაპანში ჩავიდენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ამხ. პოზდეევი, სპეციალისტ ინჟინრები, დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელნი, რომელთა თანდასწრებით მოხდა ხიდის მზიდველობის და გამძლეობის შემოწმება. ხიდის სიგრძე უდრის 35 საჟენს, მის ერთ მხარეს აწერია რუსულათ, **мы наш, мы новый мир построим,** ესევე სიტყვები მეორე მხარეზე ქართულათ.

ხიდზე გაშვებულ იქნა პირველად ორი ორთქლმავალი Θ სისტემისა ვაგონით, რომელთა საერთო წონა 6000 ფუთს უდრის. პირველ ორთქლმავალში მოსჩანს ინჟინერი კარელინი, რომელიც აწარმოებდა მუშაობას. აქვე ტრიალობს ინჟ. ზავრიევი, რომლის გეგმით იქნა ხიდი აგებული. ინჟ. კოვალევსკი, ჩუმაკოვი, გზათა უფროსი პოზდეევი და სხვები, რომლებიც მოუთმენლად და გაორკეცებული ყურადღებით უცდიან, თუ რა შედეგებს მოგვცემს გამოცდა. მიუხედავად ცუდი ამინდისა იქვე, ძველ ხიდზე და ხიდის ახლო გორაკებზე თავი მოუყრიათ რკინისგზის მუშებს და სოფლის მცხოვრებთაც, რომლებსაც აგრეთვე აინტერესებთ ახალი ხიდის ღირსებანი. ხიდის შემოწმებამ თითქმის სამი საათი გასტანა და ყოველგვარი ცდების და გამოკვლევის შემდეგ სპეციალისტთა კომისია სრულ დადებით დასკვნამდე მივიდა, რაც საზეიმოთ რაპორტით მოახსენა გზის უფროს ამხ. პოზდეევს ინჟ. კოვალევსკიმ. ხიდზე მომუშავე სპეციალისტების, მუშების და ყველა დამსწრეთა სახეზე სიხარული მოსჩანს საბჭოთა ხელისუფლების მორიგ მნიშვნელოვან გამარჯვებისთვის სატრანსპორტო ფრონტზე. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს საერთო სიხარული და იმედი თავდებია იმისა, რომ ჩვენ შევსძლებთ არა მარტო რკინის გზის ხიდების გაკეთებას, არამედ მტკიცე ხიდების და გზების გაყვანას მომავალისკენ, კომუნიზმისაკენ...

მიტინგი

ამხ. პოზდეევის სიტყვა.

იწყება მიტინგი, რომელზედაც პირველ სიტყვას ამბობს ამხ. პოზდეევი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების სახელით ულოცავს ყველა დამსწრეებს და განსაკუთრებით მუშაობის მონაწილეთ ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების მორიგ გამარჯვებას.

ჩვენ მოწმე ვართ რკინისგზის მეურნეობის აღდგენის, შორაპნის ახალი ხიდის აგება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მუშებსა და სპეციალისტ-ტეხნიკოსების ენერგიული, თავდადებული შეთანხმებული მუშაობით.

ჩვენ ეს მუშაობა უნდა გავაგრძელოთ, შევსძლოთ დადგმა საბჭოთა ხელისუფლების სამტკიცის და გაძლიერების მოწმე მრავალი ასეთი ძეგლებისა. ვხსნი რა საექსპლოატაციოთ შორაპნის ხიდს მე იმედს გამოვსთქვამ, რომ ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის მუშაკნი მომავალშიც გვიჩვენებენ აღმშენებლობითი ენერგიის მრავალ მაგალითებს, ასეთ ძეგლებს, რომლებიც დაუმტკიცებენ მთელ ქვეყანას, რომ ჩვენ საკუთარი ძალებითაც, ძველ ექსპლოატატორთა დაუხმარებლათ შევძლებთ ახალი ქვეყნის შექმნას, ახალ გამარჯვებათა მიღწევას სამეურნეო ფრონტზე. ამიერ-კავკასიის მუშების და ტეხნიკურ ძალთა გაერთიანება ამის იმედს გვაძლევს. მხურვალე სალამი ამ შეთანხმებულ მუშაობის მონაწილეთ, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯო პროლეტარიატის აღმშენებლობით ენერგიას! (საერთო ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს)

ამხ. ახლანოვის სიტყვა.

რკინისგზელთა კავშირის სახელით ამხ. ასლანოვი სალამს უძღვნის მუშებს და ყველა სპეციალისტ ტეხნიკოსებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შორაპნის ხიდის აგებაში. ეს ხიდი როგორც სხვა მრავალი მაგალითები ნიშანია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის და ძლიერებისა. ჩვენი მეურნეობა და ტრანსპორტი აღდგენის გზაზეა, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ტრანსპორტის მუშათა მდგომარეობა.

გაუმარჯოს პროლეტარიატს, გაუმარჯოს პროფინტერნს.

ამხ. მგალობლიშვილის სიტყვა.

შორაპნის სამაზრო პარტკომის და აღმასკომის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. მგალობლიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ მუშათა კლასი კომპარტიის ხელმძღვანელობით შესძლებს მეურნეობის აღდგენას, ახალი ქვეყნის შექმნას, საბოლოო გამარჯვების მოპოვებას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს, გაუმარჯოს კომინტერნს გაუმარჯოს მშრომელთა მთელ ქვეყნიერებას!

სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ინჟ კუჟანდა, რომელიც გამოსთქვამს რწმენას, რომ მუშათა და სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა შეთანხმებული მუშაობა ჩვენი აღმშენებლობითი უნარიანობის მრავალ მაგალითებს გვიჩვენებს მომავალში.

ხიდის გახსნა

ამის შემდეგ ამხ პოზდეევი სჭრის წითელ ლენტს და ხიდზე მიექანება მატარებელი საქონლის ვაგონებით, რასაც მთელი დამსწრე ხალხი საერთო ტაშისცემით ხვდება. მუსიკის იმედიანი ხმით წინ ხალხი მიემართება ხიდის მეორე ნაპირებისკენ, სადაც ხდება ზეიმის მონაწილეთა სურათის გადაღება. ამის შემდეგ მუსიკა კიდევ უკრავს სამხიარულო ჰანგებს სადგურზე. მალე მატარებელი გამოდის ტფილისისაკენ.

საუბარი ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსთან ამხ. პოზდეევთან

საბჭოთა კავშირში ხიდის მიწაზე გაკეთების და შემდეგ მის წყალში ჩაშვების პირველი ცდა მოახდინა ინჟ. ალშევსკიმ 1920 წ. მდ. ბელაიაზე, უფაში. ჩვენი ცდა ცოტა სხვა ხასიათისაა, ხიდი აქაც გაკეთებულ იქნა მიწაზე და შემდეგ მოტანილ იქნა ლიანდაგით და თანდათანობით გამართულ იქნა ადგილზე გასწვრივ (**продольно**) და არა გარდიგარდო (**не поперечно**), როგორც მოხდა მდინარე ბელაიზე. მომავალში შესაძლებელია ყველა ხიდების ამ წესით აგება, რაც განსაკუთრებით მიზანშეწონილია ამიერ-კავკასიის პირობებში.

შორაპნის ხიდის ფერმები და მასალის 75 პროც. მოტანილ იქნა მდ. პროტოკიდან.

ასეთივე ორ ფერმას კიდევ მოველით ფოთის ხიდისთვის, რომლის აგება განზრახულია 1924 წლისთვის. ამავე წელში აგებულ იქნება ძირულის ხიდიც ქვისა და ბეტონისაგან.

1925 წლისთვის განზრახულია ახალი ხიდების გაკეთება ფოთის ხაზზე და შემდეგ სხვა ხიდები, რომლებიც ყველა საჭიროებენ განახლებას, მით უმეტეს, რომ განზრახულია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე შემოღება ახალი ძლიერი ორთქლმავლების, რომელთაგანაც ზოგი უკვე მივიღეთ.

შორაპნის ხიდის გეგმა გამომუშავებული იყო ადგილობრივ ინჟ. ზავრიევის მიერ, რომელიც ცენტრმა მოიწონა. მუშაობა სწარმოებდა ინჟ. კარელინის და ჩუმაკოვის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ინჟ. კოვალევსკის მონაწილეობით. როგორც სპეციალისტები, ისე მუშები განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდენ. მუშაობა თავდადებით და განუწყვეტლივ სწარმოებდა, რამაც შესაძლებელი გახადა ხიდის სულ მოკლე ხანში, რვა თვეში დამთავრება. მუშაობაზე დაიხარჯა დაახლოვებით 150 000 მან. ოქროთი.

მდგომარეობა ინგლისში

პირველი გაფრთხილება.

ლონდონი. 15 მარტი. მუშათა მთავრობამ თემთა პალატაში განიცადა მარცხი უმნიშვნელო ფორმალურ საკითხში, რომელიც დაკავშირებულია პარლამენტის მუშაობის წესრიგთან. რეგლამენტის ძალით, პალატის წევრებს უფლება ეძლევათ შეიტანონ სხვადასხვა წინადადებები საკუთარი ინიციატივით სამშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. დროს ეკონომიის და ფინანსიური ზომების სასწრაფოდ გატარების მიზნით, მთავრობამ მოითხოვა განისაზღვროს ეს უფლება ერთი დღით—პარასკევით. ლიბერალების უმრავლესობამ ხმა მისცა წინადადების წინააღმდეგ. მთავრობა უმცირესობაში დარჩა.

მთავრობა ამ ეპიზოდს სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევს. პრესაც არ აფასებს ხმის მიცემის მნიშვნელობას. **მაგრამ ფიქრობს, რომ მისი შედეგები არის გაფრთხილება მუშათა მთავრობისათვის.**

ტრამვაის მუშების გაფიცვის მოლოდინში.

ლონდონი. 15 მარტი. შესწყდა მოლაპარაკება მწარმოებელთა და ტრამვაის მოსამსახურეთა შორის, **ტრამვაის მოსამსახურეები მოითხოვენ ხელფასის 8 შილინგით გადიდებას კვირაში. მოსალოდნელია გაფიცვა.**

ოსმალეთის ამბები

ხალიფატის გაუქმების გარშემო

გეჯასის მეფის ჰუსეინის ხალიფად გამოცხადება.

თეირანი. 13 მარტი. გეჯასის მეფე ჰუსეინი გამოცხადებულია მესოპოტამიის და მეზობელ არაბთა სახელმწიფოების ხალიფად.

გადასახლებულ სასულიერო წოდებას წინადადებას აძლევენ დაბრუნდეს.

თეირანი. 13 მარტი. მესოპოტამიის ემირმა ფეისალმა გაგზავნა სპარსეთში სასახლის მინისტრი, რომელიც წინადადებას მისცემს ინგლისელების მიერ გადასახლებულ სასულიერო წოდებას დაბრუნდეს მესოპოტამიაში.

გადმოგვცემენ, რომ ეს ნაბიჯი დაკავშირებულია არაბთა სახელმწიფოების გაერთიანების პროექტთან.

დაინტერესებული არიან ხალიფატით.

სტამბოლი. 13 მარტი. უკეთებს რა კომენტარიებს ინგლისის მიერ ჰუსეინის ხალიფად გამოყენებას, გაზეთი „ვატან"-ი სწერს, რომ ინგლისის გარდა ხალიფატით დაინტერესებული არიან საფრანგეთი და იტალია, რომელთაც სურთ ჰყავდეთ მათი დაყენებული ხალიფი.

შვეიცარია არ უშვებს თავის საზღვრებში ყოფილ ხალიფს.

სტამბოლი. 13 მარტი. ოსმალეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ შვეიცარია არ უშვებს თავის საზღვრებში ყოფ. ხალიფს, რადგან მას თან ახლავს ოთხი ცოლი, რაც არღვევს შვეიცარიის კანონებს და ეწინააღმდეგება ზნეობრივობას.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

საქმე „იუმანიტეს" წინააღმდეგ.

პარიზი. 15 მარტი. დაიწყო „იუმანიტეს" წინააღმდეგ საქმის განხილვა, რომელიც აღძრა „მატენმა", მისი გამყიდველობის გამომჟღავნებათა გამოქვეყნების გამო.

„მატენის" ყოფ. საფინანსო აგენტმა განაცხადა, რომ „იუმანიტეში" მოთავსებული რაფალოვიჩის წერილები მოგონილი ჭორებია; მაგრამ მან აღიარა თავისი წერილების სინამდვილე.

მეფის მთავრობის ფინანსთა ყოფ. მინისტრმა კოკოვცევმა, რომელიც გამოვიდა მოწმის სახით, დაადასტურა რაფალოვიჩის წერილების სინამდვილე. საერთოდ, პირველი სხდომა არახელსაყრელი იყო „მატენისათვის". სასამართლოს მეორე სხდომა დაინიშნა აპრილის პირველ რიცხვებისათვის.

პარტიული ცხოვრება

ლენინის ნაწერების გამოცემა ქართულ ენაზე

ქართველი მუშები და გლეხები თითქმის სრულებით არ იცნობენ ლენინს მისი ნაწერების მიხედვით. დღემდე ქართულად გამოცემულია ლენინის მხოლოდ რამოდენიმე ბროშიურა. დღეს ჩვენს წინაშე დასმულია სერიოზული ამოცანა ლენინიზმის პროპაგანდის შესახებ. ამისათვის საჭიროა მოეწყოს სათანადო გამომცემლობა.

საიდან დავიწყოთ: ლენინის ბროშიურების თუ ნაწერების კრებულის გამოცემიდან? ეჭვი არ არის, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ ბროშიურების გამოცემიდან და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ჩვენ გვექნება ლენინის ყველაზე უფრო აუცილებელი ნაშრომები, ჩვენ შეგვეძლია დავსვათ საკითხი ნაწერების სრული კრებულის გამოცემის შესახებ. ეს, რასაკვირველია, არ უარჰყოფს იმას, რომ ახლო მომავლისათვის დავამზადოთ გამოსაცემათ ყველაზე აუცილებელი ტომები (18, 14 და სხვა). სწორედ ამგვარად გადასჭრეს საკითხი ჩვენმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა. სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ლენინის ნაწერების გამოცემის გეგმის შემუშავება, შეადგინა შემდეგი გეგმა:

პირველ რიგში უნდა გამოიცეს ლენინის შემდეგი ბროშიურები:

1) სახელმწიფო და რევოლიუცია.
2) მემარცხენეობის ბავშვური ავადმყოფობა.
3) იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი, ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობით.
4) შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ძალა-უფლებას?
5) პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი.
6) სასურსათო გადასახადის შესახებ.
7) ლენინი რუსეთის რევოლიუციის ხასიათის შესახებ.

ომში დასახიჩრებულთა დასახმარებლად

მოწოდება

„ილიჩზე გლოვას ნუ მისცემთ გარეგნულ პატივისცემის ხასიათს. ნუ აუგებთ მას ძეგლებს, სასახლეებს, ნუ გამართავთ ბრწყინვალე ზეიმებს მისი ხსოვნის აღსანიშნავად. გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ დიდია გაჭირვება და მოუწყობლობა ჩვენს ქვეყანაში.

გსურთ პატივისცეთ ვლადიმერ ილიჩის ხსოვნას? დააარსეთ და მოაწყვეთ ბავშვთა თავშესაფარები, საბავშვო ბაღები, სკოლები, სამკითხველოები, ამბულატორიები, საავადმყოფოები, ინვალიდთა სახლები და სხვა“.

ასეთი სიტყვებით მიმართა საბჭოთა კავშირის მშრომელებს ვლადიმერ ილიჩის მეუღლემ, მისმა საუკეთესო მეგობარმა და თანამებრძოლმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ.

გლოვის, ცრემლების, ბრწყინვალე ზეიმების ნაცვლად აღმშენებლობითი მუშაობის გაძლიერება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში, აი საითკენ გვეძახის ჩვენი მოძღვარის ილიჩის ღირსეული ამხანაგის და მეგობარის ხმა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგიწოდებთ ყველა სახელმწიფო ორგანოებს, პროფკავშირებს, ადგილკომებს, საზოგადოებრივ ხასიათის ყველა დაწესებულებებს და პატიოსან მოქალაქეებს ამხ. კრუპსკაიას მოწოდებას გულმხურვალედ გამოეხმაუროთ და შეეცადოთ მას გატარებას ცხოვრებაში.

ამხანაგებო და ყველა პატიოსანო მოქალაქენო! მუშურ-გლეხური ხელისუფლება განსაკუთრებით მიაქცევს თქვენს ყურადღებას ომის ინვალიდთა სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გაუმჯობესებისაკენ.

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა დაასახიჩრა მუშებისა და გლეხების საუკეთესო ნაწილი. ისინი, უფეხო-უხელონი, შრომის უნარ მოკლებულნი, დღეს-დღეობით, გარიყულნი არიან შრომის ასპარეზიდან.

მათი სურვილია დაუბრუნდნენ სახელოსნოს, ფაბრიკას, ხელი მოჰკიდონ სასოფლო მეურნეობას, მაგრამ პროტეზების (ხელოვნური ხელ-ფეხის) უქონლობის გამო, ისინი იმის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ყოველმხრივ ზრუნავს ინვალიდებზე და ხელს უწყობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, მაგრამ მას თვისი ბიუჯეტით საშუალება არ შესწევს სავსებით უზრუნველჰყოს და დააკმაყოფილოს მათი საჭიროებანი.

ამხანაგებო და ყველა პატიოსანო მშრომელნო! მოგიწოდებთ თქვენ ძმური დახმარების ხელი გაუწოდოთ უფეხო და უხელო ინვალიდებს. ამას მოითხოვს მუშათა სოლიდარობა და ჩვენი მოვალეობა დასახიჩრებულ მოძმეთადმი. ინვალიდები მოითხოვენ თქვენგან არა მოწყალებას, არამედ შრომის პრიმიტიულ იარაღებს,—ხელოვნურ ხელებს და ფეხებს, რომლებიც უწევენ მათ ბუნებრივ ხელების და ფეხების მაგიერობას.

არც ერთი ინვალიდი უპროტეზოთ, თვითეულ სახელმწიფო ანუ საზოგადოებრივ დაწესებულების და ორგანიზაციის სახელზე თითო პროტეზი, აი როგორი პასუხი უნდა გავსცეთ ჩვენ ამხ. კრუპსკაია-ლენინის მოწოდებას.

დე, არ დარჩეს არც ერთი დაწესებულება, არც ერთი ორგანიზაცია, არც ერთი პატიოსანი მოქალაქე, რომელიც არ გაიღებს თავის წვლილს უფეხო და უხელო ინვალიდებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა აღმშენებლობას.

გაუმარჯოს მუშათა კლასის სოლიდარობას.

გაუმარჯოს ჩვენ ძმებს—დასახიჩრებულებს, რომლებიც მიილტვიან შრომისა და თვითმოქმედებისაკენ.

გაუმარჯოს მათ, ვინც თავის წვლილს გაიღებს დასახიჩრებულ თანამოძმეების დასახმარებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ქ. ხომერიკი.

---

8) გზა ოქტომბრისაკენ.
9) ლენინის უკანასკნელი წერილები.
10) ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.
11) მეორე ინტერნაციონალის კრახი.
12) ლენინი და კომინტერნი.
13) ლენინი და გლეხობა.
14) ლენინი და ბრესტი.
15) სახალხო განათლების ამოცანები.
16) ლენინი და ახალგაზრდობა.
17) ლენინი ქალთა საკითხის შესახებ.
18) ლენინი და წითელი არმია.
19) რელიგიის შესახებ.

ამასთან ერთად უნდა სწარმოებდეს მუშაობა შემდეგი კრებულების გამოსაცემად: 1) ბოლშევიზმის ტაქტიკა, 2) პარტიულ მშენებლობის შესახებ, 3) ნაციონალური საკითხი, 4) კომინტერნი, 5) აგრარული საკითხი.

მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ეს გეგმა განხორციელებული იქნება, შეიძლება სერიოზულად იქნეს დასმული საკითხი ლენინის ნაწერების სრული კრებულის ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ. მიზანშეწონილ იქნება ნაწარმოებთა კრებულის გამოცემა ტომებათ და არა ქრონოლოგიური წესით, ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი ტომები (განსაკუთრებით 18 და 14) უნდა გამოიცეს ახლო მომავალში.

ამას გარდა აუცილებელია გამოიცეს მთელი რიგი წიგნებისა **ლენინის** და პარტიის ისტორიის შესახებ. ეხლა შეიძლება მითითება შემდეგ ნაშრომებზე: 1) ზინოვიევი—რუსეთის კომპარტიის ისტორია, 2) ზინოვიევი—**ლენინის** ბიოგრაფია, 3) კამენევი—**ლენინი** და რუსეთის კომპარტია, 4) პოპოვი და იაკოვლევი—**ლენინის** ცხოვრება და ლენინიზმი.

ამ წიგნებიდან ზოგი უკვე გამოცემულია და ზოგი კი იბეჭდება.

ქ. ორაგველიძე.

ტფილისის რევოლიუციონურ პროლეტარიატს

გერმანიის კომუნისტური პარტიის ვოლფენბიუტელის ორგანიზაციამ გადასწყვიტა თავისი წითელი დროშა თავის აღტაცების და თანაგრძნობის ნიშნად მიუძღვნას ტფილისის პროლეტარიატს

ვოლფენბიუტელში წარსული საუკუნის 70 წლების დასაწყისში დაარსებული იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ძველი ორგანიზაცია, რომელიც მიემხრო ე. წ. ეიზენახის მიმდინარეობას, რომელსაც მეთაურობდა ავგუსტ ბებელი.

ჩვენ შევიძინეთ დროშა მაშინვე ორგანიზაციის დაარსების შემდეგ.

ძველ ამხანაგების გადმოცემით, დროშის ჩაბარებას დაესწრო ავგუსტ ბებელიც. მაშინ დროშის გამოჭიმვა შეიძლებოდა მხოლოდ დახურულ შენობაში, ვინაიდან აშკარად წითელი დროშის გამოტანა აკრძალული იყო. შემდეგ, გერმანიაში სოციალისტების წინააღმდეგ კანონის გატარების დროს, ხელისუფლება შეეცადა ჩვენი დროშის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამხანაგების უსაზღვრო ერთგულებამ არ მისცა მას ამის ნება. მიუხედავად ზედმიწევნითი ძებნისა ხელისუფლების მიერ, მან ვერ შესძლო ჩვენი დროშის მიგნება და მოსპობა. იგი მთელი წლობით ინახებოდა სხვადასხვა ამხანაგებთან, ხან როგორც მაგიდის გადასაფარებელი, ხან სახლის ჭერზე და სხვ. დროშის დევნა არ შეწყვეტილა სოციალისტების წინააღმდეგ კანონის გაუქმების შემდეგაც, მაგრამ მისი მოტაცება მაინც ვერ მოახერხეს. მხოლოდ 90 წლების დასაწყისში შესაძლებელი გახდა დროშის აშკარად გამოტანა, მაგრამ ქალაქ-გარედ, და მხოლოდ სოციალისტური გავლენის ზრდის გამო ხელისუფლებამ თავი გაანება დევნას და განსაკუთრებულ პირობებში შესაძლებელი გახდა დროშის გამოჭიმვა ქალაქის შიგნითაც. მსოფლიო ომის დროს, როცა სოციალისტური პარტიები ორ ბანაკად გაიყვნენ, ვოლფენბიუტელის ორგანიზაცია მთლიანათ შეუერთდა ოპოზიციას და შექმნა გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჯგუფი და თან წაიღო თავისი დროშაც.

1918 წლის რევოლიუციის დროს ჩვენი დროშა იყო ამხანაგებისათვის კლასთა ბრძოლის სიმბოლო და, როგორც ასეთი, ჩვენი დროშა აფრიალებული იქნა ვოლფენბიუტელის საბჭოს შენობაზე. 1920 წ., როდესაც პარტია ისევ გაიყო, ვოლფენბიუტელის ორგანიზაცია თავისი დროშით გაჰყვა თითქმის მთლიანად კომუნისტურ პარტიას. მაშინ დროშა მორთული იქნა საბჭოთა წითელი ვარსკვლავით და ვოლფენბიუტელის ყველა ამხანაგები უცქერიან მას, როგორც საუკეთესო განძს.

ამხანაგებისათვის ძნელია ამ დროშის დათმობა, რადგან ყოველთვის, გლოვასა და სიხარულში და რევოლიუციისათვის ბრძოლებში ისინი მისდევდენ ამ დროშას, როგორც რევოლიუციონურ სიმტკიცის და პროლეტარულ სოლიდარობის სიმბოლოს. და რამდენი რევოლიუციონერი და მებრძოლი თავისუფლებისა, ძმობის და ერთობისათვის საფლავამდე მიუცილებია ამ დროშას.

მხოლოდ უდიდესი სიყვარული და ღრმა პატივისცემა, რომლითაც საბჭოთა კავშირისადმი განწყობილნი არიან ვოლფენბიუტელის რევოლიუციონური მუშები, აქეზებს მათ მიუძღვნან ეს დროშა თავის ძმებს საბჭოთა კავშირიდან.

დეე ეს დროშა აფრიალდეს დიად ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

გამოვსთქვამ ჩვენი პატივისცემის და სოლიდარობის გრძნობას კომუნისტური სალამით გერმანიის კომპარტიის ვოლფენბიუტელის ორგანიზაცია.

ი. ა. ფიშერ.

ბეჭედი: გერმანიის კომუნისტურ პარტიის ვოლფენბიუტელის ორგანიზაცია.

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება

15 მარტის სხდომა.

საჯარო გამოძიების დასრულება

სხდომის გახსნა.

სხდომა იხსნება საღამოს 6 საათზე. ბრალდებულთა შემოყვანის დროს დარბაზში გაისმის ხმები: „ძირს ამბროსი“, „ძირს დამცველები“, „ძირს მღვდლები“, „ძირს ნინიძე“. სასამართლოს შემოსვლას აუდიტორია ტაშით ხვდება.

ამხ. მაჭავარიანი. საბრალმდებლო ნაწილი სთხოვს სასამართლოს გამოქვეყნებული იქნეს საუწყებათაშორისო კომისიის მიერ შედგენილი სარევიზიო საბუთები, რომელიც საქმეებშია ჩაკერებული.

ამხ. ოკუჯავა სთხოვს სასამართლოს გამოქვეყნებული იქნეს ამბროსის და შუბლაძის ჩვენება და აგრეთვე ამბროსის და ჯაფარიძის დაპირისპირების ოქმი.

ამხ. ერქომაიშვილი სთხოვს სასამართლოს გამოქვეყნებული იქნეს ხუჭუას და ფოფხაძის ჩვენება, რომელიც ახასიათებს ბრალდებულ ნაზარის.

დამცველები გელაზაროვი, მღვდლიევი, დადიანი და ბრალდებული ცინცაძე მოითხოვენ სხვადასხვა საბუთების გამოქვეყნებას.

დამცველი ნინიძე იმის გასამუქებლად, რაც მემორანდუმშია აღნიშნული, შუამდგომლობს ნება მიეცეს მას დაეყრდნოს სხვადასხვა ოფიციალურ გამოცემებს და გაზეთებს. მოითხოვს აგრეთვე ექსპერტების სახით პროფ. ი. ჯავახიშვილის და პ. ინგოროყვას გამოწვევას.

ამხ. მაჭავარიანი წინააღმდეგია ექსპერტების გამოწვევის, რადგან საქმის გარემოება ამას არ მოითხოვს.

კომენდანტი ამხ. აბაშიძე მოახსენებს სასამართლოს, რომ გარედ იცდის მუშების დელეგაცია და მოითხოვს დარბაზში შემოშვებას.

სხდომა სწყდება რამოდენიმე ხნით, დაახლოვებით 8 საათზე აუარებელმა მუშა-მოსამსახურემ თავი მოიყარა თეატრის წინ დროშებით და პლაკატებით; გაიძახოდენ, მოგვეცით ჩვენ გავასამართლებთ მუშათა კლასის მოღალატეებსო. მათი დაშოშმინება ძნელი გახდა. ისინი მოითხოვდენ დარბაზში შესვლას. ამხ. გოლდბაუმმა იკისრა გარეთ გასვლა: მან განუცხადა მუშებს, რომ თქვენი დელეგაცია სასამართლოს წინაშე წარსდგება ეხლა და ყველაფერს აცნობებს სასამართლოს, რასაც თქვენ მოითხოვთო.

სხდომის განახლება.

ერთი საათის თათბირის შემდეგ სხდომა განახლდა.

თავმჯდომარე: კითხულობს სასამართლოს დადგენილებას, რომლის ძალით ახალი მოწმეების დაკითხვაზე და ექსპერტთა გამოწვევაზე დამცველებს უარი ეთქვათ. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აგრეთვე მოქ. ნინიძის შუამდგომლობა გაზეთებზე დამყარების შესახებ.

6.500 მუშის დელეგაცია.

სასამართლოს წინაშე წარსდგა 6.500 მუშის დელეგაცია. დელეგაციის სახელით პირველ სიტყვას ამბობს ამხ. თოფაძე.

ამხ. თოფაძის სიტყვა.

ამხანაგებო! ჩვენ წარმოგვზავნა აქ კომუნალურ მუშაკთა კავშირის 6.500 მუშამ, რომელნიც მოითხოვენ პროლეტარულ სასამართლოსაგან, რომ მან სასტიკათ დასაჯოს მშრომელი ხალხის მტერი, სახალხო ქონების გამფლანგველი „სულიერი მამები“, რომელნიც აქ საბრალმდებლო სკამზე სხედან. სამღვდელოება საუკუნოების განმავლობაში აწუხებდა მშრომელ ხალხს. ის თარეშობდა ხალხის ზურგზე და უკანასკნელ ხარკამიჩს უყიდდა გლეხკაცობას „დრამის“ ფულში. ქართველმა სამღვდელოებამ კავშირი შეკრა ყველა ქართულ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან და მისი ლოცვა-კურთხევით მოქმედებდენ პარიტეტული კომიტეტი და ჩოლოყაშვილის და გვერდწითელის ბანდებიო. მუშების სახელით ის მოითხოვს „სულიერ მამების“ სასტიკ დასჯას და მათი აბლაკატების საბრალდებულო სკამზე დასმას.

ამხ. დუმბაძე

აღნიშნავს, რომ „სულიერი მამების“ საბრალდებულო სკამზე დაჯდომამდის, მათ წრეში დიდიხანია უკვე გახრწნილია თვით ქრისტეს მცნებაც. სამღვდელოება მშრომელი ხალხის მტერია. ის ცრუმორწმუნოებით კვებას ხალხს. ეხლა მუშათა კლასის ამ მოღალატეებს იცავენ „სოციალისტი“ იურისტები. ეხლა რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა რომ მოისურვოს ნიკოლოზ მეორის გასამართლება, ნუ თუ რომელიმე იურისტი იკისრებს მის დაცვას? ასევე არავის არ უნდა ეკისრა სამღვდელოების დაცვა, რადგან ის ხალხის მტერი და მისი ქონების გამფლანგველია.

ამხ. თოდრიას სიტყვა

ის ლაპარაკობს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის 6.500 მუშის სახელით. ის აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ტრანსპორტის მუშები წელში წყდებოდენ მძიმე მუშაობისაგან, რომელიც მიმართული იყო სამოქალაქო ომით დანგრეულ ტრანსპორტის აღდგენისაკენ, ამ დროს ქართველი უმაღლესი სამღვდელოება დანარჩენ კონტრ რევოლიუციასთან ერთად მემორანდუმით მიმართავდა გენუის კონფერენციას, მოიწვევდა საქართველოში იმპერიალისტურ ჯარებს და ამით უნდოდა ქართველი მშრომელი ხალხის სისხლის მორევში ჩახშობა. ის მოითხოვს, რომ სასტიკად იქნენ დასჯილი „სულიერი მამები“—მშრომელი ხალხის ისტორიული მტრები.

ამხ. ფარნიევის სიტყვა.

მე სასამართლოს არ ველაპარაკები, მე არ მიუთითებ მას იმ კანონებზე, რომლითაც უნდა დაისაჯონ ბრალდებულები. სასამართლომ თვითონ კარგათ იცის ეს. მე ვამბობ, რა უფლება აქვს კ. ნინიძეს დაიცვას „სულიერი მამები“. კირილე ნინიძე აგერ გაკვირვებული რომ შემომცქერის (საერთო სიცილი დარბაზში) გამოვიდეს ჩვენთან მუშებთან გარეთ და იქ დაიცვას სამღვდელოება.

შარშან, როდესაც კ. ნინიძე ციხეში იჯდა, მისი ცოლი წერილს მატანდა ერთ ცნობილ ამხანაგთან მოსკოვში, იქნება მას შეუძლია მოსწეროს აქაურ მთავრობას გაანთავისუფლოს ჩემი ქმარიო. მაშინ კ. ნინიძის ოჯახი მშიერი იყო, საკათალიკოსო საბჭო კი მაძღარი იყო; მერე ეხმარებოდა ეს საბჭო ნინიძის მშიერ ოჯახს? არა. ეხლა კი ნინიძე იცავს ამ მაძღარ სამღვდელოებას. ესაა „სოციალისტობა?“.

თავმჯდომარე: დამცველნი დღეს აქ აღჭურვილნი არიან იმავე უფლებებით, როგორც ჩვენ. ისინი გვეხმარებიან ჩვენ სიმართლის გამორკვევაში, რაც შეეხება ბრალდებულთა გასამართლებას, ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი სასამართლო კლასიურია, და თუ დამტკიცდება, რომ ბრალდებულები მუშაობას ეწეოდენ მუშათა კლასის წინააღმდეგ, მაშინ სასამართლო მათ სათანადოთ დასჯის რევოლიუციონური კანონის მიხედვით. ეს იცოდეთ და გადაეცით გარეთ შეკრებილ მუშებს.

ფარნიევის შემდეგ სიტყვას ამბობს არსენალის 400 მუშის წარმომადგენელი ამხ. კობახიძე, რომელიც აგრეთვე მოითხოვს სასტიკ სასჯელს „სულიერ მამებისათვის“.

დელეგაციის თხოვნის თანახმათ, სასამართლო მიდის გარეთ, შეგროვილ მუშებთან. თეატრის აივნიდან იქ დემონსტრანტებს სიტყვას ეუბნება სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. გ. ჩხეიძე, რომელიც ამბობს, რომ სასამართლო კლასიურია, კლასი ხართ თქვენ და ამიტომ სასამართლო მოიქცევა ისე, როგორც ამას მოითხოვს თქვენი რევოლიუციონური სინიდისი. თუ დამტკიცდება, რომ ბრალდებულები საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა კლასის წინააღმდეგი იყვნენ, მაშინ უზენაესი სასამართლო მიუსჯის მათ იმ სასჯელს, რომელსაც გვიკარნახებს ჩვენ კანონებათ ჩამოსხმული რევოლიუციონური შეგნება.

სხდომის განახლება.

სხდომის განახლების შემდეგ ამხ. წივწივაძე კითხულობს საუწყებათაშორისო კომისიის სარევიზიო აქტებს, რომლებიდანაც სჩანს, რომ მრავალი ნივთები არ ყოფილა გატარებული წიგნებში. წაკითხული იქნა აგრეთვე სხვა საბუთებიც.

ღამის 12 ნახ. საათ. სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. გ. ჩხეიძე საქმის საჯარო გამოძიებას დამთავრებულათ აცხადებს.

16 მარტის დილის სხდომა

სხდომის გახსნა.

სხდომა იხსნება დილის 1 ს. 40 წ. სასამართლოს გამოსვლას ტაშით ხვდებიან.

თავმჯდომარე: საჯარო გამოძიება დასრულებულია. გადავდივართ მხარეების კამათზე.

სახელმწიფო ბრალმდებელის ამხ. მაჭავარიანის სიტყვა

პროცესის პოლიტიკური მნიშვნელობა.

პატივცემულო მოსამართლენო! ის დიდი ინტერესი, ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მიპყრობილია ამ პროცესისადმი, ეს ერთგვარათ არაჩვეულებრივი პროცესი აიხსნება არა მარტო იმით, რომ აქ საბრალდებულო სკამზე სხედან ძველათ წარჩინებული პირნი მღვდელმთავარი ამბროსი და სხვები, არამედ ამ პროცესს, გარდა იურიდიული მნიშვნელობისა, აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. იმ დანაშაულობას, რომელშიაც ბრალი ედება სამღვდელოებას, აქვს პოლიტიკური ხასიათი. ამ პროცესს თვალყურს ადევნებს არა მარტო საქართველო, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო, მთელი ევროპა, რომელიც ყოველთვის ორ ბანაკად იყო გაყოფილი. პროლეტარიატი, მუშათა კლასი და ბურჟუაზია; პირველი, რასაკვირველია, დაინტერესებულია იმაში, რომ გამოირკვეს ბრალდებულთა დანაშაული და ისინი დაისაჯონ სათანადოთ, მეორეს კი აინტერესებს, რომ სასამართლო ვერ გაერკვიოს საქმის ვითარებაში და გაანთავისუფლოს ბრალდებულები. ამ პროცესში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ერთ მომენტს—სახელმწიფო მომენტს. ეხლა მთელი რუსეთის და საქართველოს სივრცეზე დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლება.

ხელისუფლება სჯის სახელმწიფო დანაშაულს

აქვს თუ არა უფლება ამ ხელისუფლებას საბრალდებულო სკამზე დასვას ისინი, ვინც იბრძოდა ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრალდებულები უნდა დაისაჯონ არა ამა თუ იმ პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, არამედ იმ კანონების მიხედვით, რომელიც გამოცემულია სახელმწიფოს მიერ.

ბრალდება

მთავარი ბრალდება, რომელიც აღნიშნულია საბრალმდებლო ოქმში, მდგომარეობს იმაში, რომ კათალიკოსმა ამბროსიმ და მისმა საბჭომ შეადგინეს მემორანდუმი და გაუგზავნეს გენუის კონფერენციას; მათ ბრალათ ედებათ აგრეთვე საეკლესიო ქონების გაფლანგვა და წიგნების უწესრიგოთ წარმოება. დამტკიცებულია თუ არა ეს ბრალდებები? მოწმეების ჩვენებით და გამოძიებით, დამტკიცებულია.

რომ გავითვალისწინოთ პირველი ბრალდების სიმძიმე, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის ისტორიული ხანა, როდესაც ეს მემორანდუმი იყო შედგენილი. ამ დროს ბრძოლა სწარმოებდა ერთის მხრივ რევოლიუციასა და მეორეს მხრივ ანტანტის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ამ ბრძოლის შენელების შემდეგ შეიკრიბა გენუის კონფერენცია და ამ კონფერენციას უგზავნის მემორანდუმს კათალიკოსი ამბროსი.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ მემორანდუმი მშვიდობიანობის მიზნით იყო გაგზავნილი. მაგრამ თუ გაითვალისწინებთ მემორანდუმის შინაარს, მაშინ თქვენთვის ნათელი გახდება, რომ მემორანდუმი არ ყოფილა მშვიდობიანობის მიზნით გაგზავნილი. სამღვდელოება საერთოდ ვერ ურიგდება ხალხურ მთავრობას. ის ვერ ურიგდება დემოკრატიულ წესწყობილებასაც კი ბურჟუაზიულ ქვეყნებში. და, რასაკვირველია, ის მით უმეტეს ვერ შეურიგდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

მემორანდუმი

რა მიზნით იყო გაგზავნილი მემორანდუმი? ამ მემორანდუმში აღნიშნულია, თუ რა იყო მისი მიზანი. იქ ნათქვამია, რომ გაყვანილი იქნეს საქართველოდან წითელი ჯარი და შეიცვალოს პოლიტიკური მართველობის ფორმა. ასეთი შინაარსის მემორანდუმი შეიძლება დაბეჭდილი იქნეს გაზეთში, ან-და გაეგზავნოს კერძო პირს, მაგრამ როდესაც ის ეგზავნება ისეთ კონფერენციას, როგორიც იყო გენუის კონფერენცია, მაშინ მას არ აქვს ინფორმაციის ხასიათი,—ის პოლიტიკური ხასიათის აქტია.

ამ მემორანდუმის მიზანი იყო გამოეწვია კაპიტალისტური სახელმწიფოების ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეებში; ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს მოთხოვნილება საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანის შესახებ და აღნიშვნა იმისი, რომ საქართველოს მიწა-წყალი სხვებზე რიგდება და სხვა ცრუ ხმების შედგენა და გავრცელება.

კათალიკოს ამბროსის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლში, რომელიც მოგვითხრობს უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დაჭერის შესახებ. აქ არ ყოფილა მარტო განზრახვა, არამედ საქმე გვაქვს დამთავრებულ პოლიტიკურ აქტთან.

ჩაითვლება თუ არა უცხო სახელმწიფოების ჩარევათ საქართველოს შინაურ საქმეებში ის, როდესაც ამბროსი მოუწოდებს გენუის კონფერენციას შეცვლილ იქნეს საქართველოში პოლიტიკური მმართველობის ფორმა? ასეთი მოწოდება სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევისაკენ არის ბოროტმოქმედება. მაშასადამე, მე სავსებით დამტკიცებულათ მიმაჩნია ამბროსის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ამბროსიმ შეადგინა მემორანდუმი და გაუგზავნა ის გენუის კონფერენციას.

მაგრამ, მარტო ამბროსის არ ედება ბრალი მემორანდუმის შედგენაში. აქ დამნაშავეა საკათალიკოსო საბჭოც. სამღვდელოება მემორანდუმის გაგზავნას დიდ ისტორიულ მნიშვნელობას აძლევდა. მას შეეძლო თუ არა არ სცოდნოდა მემორანდუმის შედგენის და გაგზავნის შესახებ? წარმოუდგენელია, რომ საკათალიკოსო საბჭოს არ სცოდნოდა ამ მემორანდუმის გაგზავნის შესახებ. როდესაც გამოქვეყნებული იქნა ეს მემორანდუმი, რატომ მათ პროტესტი არ განაცხადეს მის წინააღმდეგ. მათ არ უარყვეს ეს მემორანდუმი იმ დრომდის, სანამ ისინი საგანგებო კომისიაში არ მოხვდენ. მათ იქ განაცხადეს, რომ მემორანდუმს სთვლიან პოლიტიკურ აქტათ. მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია, რადგან მათ უნდოდათ თავი დაეხწიათ საგანგებო კომისიიდან. მაშასადამე მე ეს ბრალდება დამტკიცებულად მიმაჩნია.

საეკლესიო ქონების დამალვა.

მეორე ბრალდება—ეს არის სიონის და მცხეთის ტაძრების საეკლესიო ქონების გადამალვა. ვისია ეს ნივთები. ისინი მოთავსებული იყვნენ სიონის და მცხეთის ტაძრებში. ის სამღვდელოებას ეკუთვნის, თუ სახალხო ქონებაა? ის, რაც არის სახელმწიფოში, ხალხის ქონებაა, თუნდაც მას სპეციალური დანიშნულება ჰქონდეს. არ შეიძლება, რომ სახელმწიფოში სახელმწიფო არსებობდეს ეკლესიის სახით. სახელმწიფოს განაგებს მთავრობა. საეკლესიო ქონება სახელმწიფოს კუთვნილებათ იყო გამოცხადებული. ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესია იმავე უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორც მთავრობა. ნივთები გატანილი იყო ქუთაისში და გადამალული იმ მიზნით, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლება აღარ იარსებებდა, მაშინ ის უკანვე დაბრუნებული იქნებოდა. კანონი ამბობს, რომ გადამალვა არ შეიძლება. ამრიგათ გადამალვა დამტკიცებულია. გადამალვაში ბრალი ედება არქ. პ. ჯაფარიძეს, რომელმაც ლეონიდს ფიცი მისცა და ამიტომ არ შეატყობინა მთავრობას გადამალული ნივთების შესახებ. გადამალვა იცოდა ამბროსიმაც. ეს რომ ასეა, მტკიცდება იქიდანაც, რომ ნივთების აღმოჩენის შემდეგ, არქ. ჯაფარიძე ჩამობრძანდა ტფილისში და მოახსენა ამის შესახებ ამბროსის. მან კი უთხრა მას, რომ წადი მონასტერში და ამის შესახებ არავის არაფერი არ შეატყობინოო. აგრეთვე წარმოუდგენელია ისიც, რომ ლეონიდის შემდეგ ამბროსის არ სცოდნოდა გადამალულ ნივთების შესახებ. ამბროსის ფიცი, როდესაც ის ეწინააღმდეგება კანონს, სავალდებულო არ არის, თუნდაც ის რელიგიური მოსაზრებით იყოს გამოწვეული. როდესაც ჯაფარიძეს ჩეკაში უთხრეს, რათ გატეხე ფიციო, ის დაიბნა და ვერაფერი ვერ სთქვა.

ამრიგათ, ეს ბრალდებაც დამტკიცებულია, საბრალმდებლო ნაწილს ბოროტმოქმედებათ მიაჩნია ნივთების გატანა, გადამალვა და მთავრობისათვის არ შეტყობინება. ამ დანაშაულს უდგება მე-116 მუხლი.

ამას გარდა კათალიკოსს ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს ბრალათ ედებათ კონტრ-რევოლიუციონური მიზნით ცრუ ხმების გამოგონება და გავრცელება. აქ არის ცნობები საქართველოს მიწა-წყალის სხვისთვის გადაცემის, ენის დევნის, ქართველი ერის ფიზიკურად გადაშენების და სხვათა შესახებ. გამოძიების დროს აქ დამტკიცდა, რომ ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება. ეს ბრალდებაც აგრეთვე სავსებით დამტკიცებულია.

წინააღმდეგობის გაწევა.

მესამე ბრალდება—ეს არის წინააღმდეგობის გაწევა მთავრობისათვის. მთავრობამ გადასწყვიტა სობოროს ჩამორთმევა და მისი კომკავშირისათვის გადაცემა. საკათალიკოსო საბჭო „ვერ სცნობს შესაძლებლათ“ სობოროს ჩამორთმევას და მისი არარელიგიური მიზნით გამოყენებას და ის უარს ამბობს თავისი წარმომადგენლების „წარგზავნაზე“ საუწყებათაშორისო კომისიაში. მთავრობა მოითხოვდა სობოროს ჩაბარებას, საკათალიკოსო საბჭო არ დათანხმდა ამაზე. არის თუ არა ეს წინააღმდეგობის გაწევა მთავრობისათვის? არის.

შემდეგი ბრალდება—წიგნების დაუდევარი წარმოება. თქვენ, მოსამართლენო, მოისმინეთ სარევიზიო აქტები. იმათ არაფერი დამატება არ სჭირია. ეკლესიებში არ იყო სათანადოთ დაყენებული სამეურნეო ნაწილი. ეს მუხლიც დამტკიცებულათ მიმაჩნია. ყველა მუხლები დამტკიცებულია, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა. სასამართლო ბრალს ვერ სდებს მათ ნივთების გატანაში ქუთაისში, ლაზარიშვილს სხვა ბრალი არ ედება, ამიტომ საბრალმდებლო ნაწილი უარს ამბობს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაზე, რადგან საეკლესიო ნივთები გატანილი იყო ქუთაისში ძველი მთავრობის ბრძანების თანახმად. ამ გატანაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე ცინცაძე, მირიანაშვილი და ტყემალაძე, ამიტომ საბრალმდებლო ნაწილი მათ ხსნის ბრალდების ნაწილს.

სხდომა შეწყდა რამოდენიმე წუთით. განახლების შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ოკუჯავა.

ამხ. ნ. ოკუჯავას სიტყვა

მემორანდუმი.

ჩემი კოლეგის სიტყვის შემდეგ ყველა ბრალდებები, ზოგიერთი გამონაკლისით, დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს. ცენტრალური ადგილი ბრალდებებში უჭირავს იმ მემორანდუმს, რომელიც საკათალიკოსო საბჭომ გაუგზავნა ანტანტას. მას მიზნად ჰქონდა ცეცხლის ალში გაეხვია ქართველი მშრომელი ხალხი, მას უნდოდა ისეთი უბედურება დაეტეხა თავზე ქართველი მშრომელი ხალხისათვის, რომელსაც ვერ ასცდა რუსეთის მშრომელი ხალხი.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენებები გამოძიებისა და ჩემ მიერ ბრალდებულების ნახვის დროს ხშირათ იცვლებოდა. გვეგონა, რომ სამღვდელოება სიმართლეს იტყოდა, მაგრამ ისინი ისე ცვლიდენ ჩვენებებს, როგორც კალეიდოსკოპში იცვლება ფიგურები. მინდა მოვიყვანო ამბროსის ეხლანდელი მოადგილის ციცქიშვილის განცხადება, რომ მემორანდუმს აქვს პოლიტიკური ხასიათიო; „ნიჟერმა“ თალაკვაძემ განაცხადა, რომ ამ აქტში იგულისხმება პოლიტიკური მომენტიო. ასევე ამბობდენ სხვებიც. პროფესორ კეკელიძემაც განაცხადა, რომ აქტს აქვს პოლიტიკური ხასიათი. ლოიდ ჯორჯი და პუანკარე გაიცინებდენ, რომ გაიგონ, რომ ჩვენ ამდენ დროს ვანდომებთ აქტის პოლიტიკური ხასიათის გამორკვევას. რელიგიური მომენტი ისე სცურავს ამ მემორანდუმში, როგორც ერბოს ერთი წვეთი უზარმაზარ ზღვაში.

რას მოითხოვს ამბროსი: წითელი ჯარის გაყვანას, პოლიტიკური ფორმის შეცვლას—აი ორი უმთავრესი მომენტი, რომელსაც აყენებს ამბროსი. ვის უნდა ეს. საქართველოს მშრომელი ხალხის მოღალატეებს, გამყიდველ სოციალისტებს და სამღვდელოებას. გენუა იყო ანტანტის ერთი ხერხთაგანი. გენუაში ანტანტას უნდოდა აეძულებია რუსეთი დათმობაზე წასულიყო. ანტანტამ ვერ დაასრულა სასურველათ რუსეთის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ დაწყებული ომი იმიტომ, რომ მას აუმხედრდა თავისი მშრომელი ხალხი და იარაღი არ გამოატანა ჩვენს წინააღმდეგ. ანტანტას უნდოდა გენუის საშუალებით გაეკეთებია ის, რისი გაკეთებაც მან ვერ მოახერხა იარაღით. აქ, საქართველოში ირაზმებიან კონტრ-რევოლიუციონური ძალები და ილაშქრებენ საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. და აი, ამ დროს არსდება პარიტეტული კომიტეტი, რომელშიაც შედიან მენშევიკები, ნაციონალ-დემოკრატები, მემარჯვენე ფედერალისტები და, ჩვენ აქნამდის არ ვიცოდით, სამღვდელოება. და ეს პარიტეტული კომიტეტი სამღვდელოების ლოცვა-კურთხევით ილაშქრებს საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. პარიტეტული კომიტეტი იწყებს ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას. მისი დირექტივებით მოქმედობს ჩოლოყაშვილი, იქ საზღვარგარეთ კი ბიურო, და ყველა ისინი შეხმატკბილებულნი მუშაობენ ქართველი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. აი, ამ დროს ამბროსი სწერს მემორანდუმს და უგზავნის ანტანტას. მართალია, ამბროსიმ განაცხადა, რომ ის სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას და ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას, მაგრამ თქვენ თუ გადახედავთ თავდგირიძის ჩვენებას, იქ ნახავთ, რომ კათალიკოს უთქვამს თავდგირიძისათვის, რომ მან მემორანდუმი გაატანა კაპანაძეს, რომელსაც უნდა გადაეცა ის ჩხენკელისა ან ჟორდანიასათვის, რომელნიც უკეთ დაიცავდენ საქართველოს ინტერესებს. მაშასადამე, ამ აქტის პოლიტიკური ხასიათი უდავოა. ეს აქტი უნდა სცოდნოდა საკათალიკოსო საბჭოს, რადგან ეს საკითხი მეტათ დიდი საკითხია და კათალიკოსს არ შეეძლო ამ აქტის ჩადენა, თუ არ დაეკითხებოდა საბჭოს. ამბროსიმ მემორანდუმის გაგზავნის შემდეგ მოახსენა საბჭოს იმის შესახებ, რომ მემორანდუმი ჩასულია ევროპაში, მაშასადამე მან საჭიროთ დაინახა ეთქვა საბჭოსთვის ის, რაშიაც საბჭო უეჭველათ დაინტერესებული იყო.

მეორე ბრალდება.

მეორე ბრალდება — გადამალვა, მითვისება იმ ქონების, რომელიც საგანგებო კომისიამ მხოლოდ 1923 წელს აპრილში აღმოაჩინა. გატანაში ჩვენ მათ ბრალს ვერ ვსდებთ, რადგან ის მომხდარა ძველი მთავრობის ბრძანებით, რაც სასამართლოში დამტკიცდა. რაც შეეხება გადამალვის გაგრძელებას, ამაში ისინი დამნაშავე არიან. მართალია იმ დროს არ იყო სათანადო დეკრეტი, მაგრამ ხომ იყო დეკრეტი იმის შესახებ, რომ ეკლესიის ქონება ცხადდება სახელმწიფოს კუთვნილებათ. რატომ არ ჩააბარეს მათ ნივთები მთავრობას? რისთვის დასჭირდათ მათ სამარშინიანი მიწის მოთხრა, სადაც ისინი 2 ნახ. წელიწადი ინახავდენ განძეულობას. ჯაფარიძის ფიცს არ ჰქონდა სიმტკიცე, რადგან მან საგანგებო კომისიაში განაცხადა სად იყო დამალული ქონება. განა მათ ცხოვრების დაწყნარების შემდეგ არ შეეძლოთ ქონების მიწიდან ამოღება და ეკლესიაში შენახვა? მაშინ ჩვენ მათ ხელს არ ვახლებდით. არ ქნეს? რისთვის? უნდოდათ მითვისება. სხვა აზრი არ შეიძლება იყოს. ამბობენ, რომ ის ისტორიული განძეულობა იყო და უნდა შეგვენახაო. ისინი რომ ასე მიდგომოდენ ამ საკითხს, მაშინ ისინი მიწაში არ ჩაალპობდენ ქონებას, ისინი მას უყურებდენ როგორც ღირებულებას და უნდოდათ მისი მითვისება.

ცრუ ხმების გავრცელება.

სამწუხაროთ მე არ შემიძლია გამოვიდე კანონის ფარგლებიდან, თორემ მე გავარკვევდი, თუ როგორ სდგას საზღვრების საკითხი. ისინი ავრცელებდენ ცრუ ხმებს და ამით უნდოდათ გაეღვივებიათ ის ცეცხლი, რომელსაც უმზადებდენ ისინი ქართველ მშრომელ ხალხს. განა მემორანდუმში მოყვანილი სიტყვები იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხი ფიზიკური გადაგვარების გზაზე სდგასო, ცრუ ხმები არ არის? აქ მოწმე პროფ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ არაფერს ამდაგვარს ადგილი არ აქვს ჩვენს ცხოვრებაში; მან, პირიქით, განაცხადა, რომ ცხოვრების პირობები თანდათან უმჯობესდება და ფიზიკურ გადაშენებაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

წიგნების უწესრიგოთ წარმოება

შემდეგი ბრალდება—წიგნების უწესრიგოთ წარმოებაა თქვენ ხელთ არის სარევიზიო საბუთები და წიგნები და თქვენ იქიდან დაინახავთ ამ ბრალდების სისწორეს.

წინააღმდეგობის გაწევა.

მე შევჩერდები კიდევ მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე. განა ის გარემოება, რომ მღ. თოთიბაძე რამდენჯერმე იქნა გამოწვეული კომისიაში ნივთების ჩასაბარებლათ, განა ის, რომ თოთიბაძესთან — მივიდა თვით კომისიის თავმჯდომარე კაკაბაძე, რომ წამოეყვანა ის კომისიაში, განა ეს იმის დამამტკიცებელი არ არის, რომ თოთიბაძე წინააღმდეგი იყო ჩაბარების? საკათალიკოსო საბჭოს და კერძოთ თოთიბაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს.

აქ ითქვა, რომ სასამართლო ჰუმანიური უნდა იყოს. ეს, რასაკვირველია, კარგი საქმეა, თუმცა ბრალდებულები ყოვლათ შეუწყნარებელი იყვნენ ამ მხრივ. მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს და მიუთითებ სასამართლოს იმაზე, რომ ის ძალიან არ გაიტაცოს ამ გრძნობამ. რევოლიუცია ჯერ კიდევ არ გათავებულა, ჩვენს მტრებს ჯერ კიდევ არ დაუგდიათ ხელიდან იარაღი. სასამართლო სასტიკი უნდა იყოს მშრომელი ხალხის მტრების მიმართ; თუ ისინი არ იქნენ დასჯილი, მაშინ ისინი ბოლომდი განაგრძობენ შავს საქმეებს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

სხდომა შეწყდა ნახევარი საათით.

ეკონომიური ცხოვრება

[illegible]

(18—19 მარტი)

ჩერვონცები	— — 11.000 მილ.
გირვ. სტერლინგ. ფულით	9.380 „
„ ჩეკები	— 9.180 „
დოლლარი ფულ.	— 2235 „
„ ჩეკები	— 2110 „
ოსმ. ქაღ. ლირა	— 1260 „
იტალიური ლირა	— 96 „
ფრანგული ფრანკი	— 93 ნახ.

ბიულეტენი

ა. ქ. ხაზ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(18—19 მარტი)

ოქროს მანეთი 11.000 000

ტფილისის ბაზრის ფასები

(18 მარტი)

პური 1 ხ.—120000 მან., პური 2 ხარ.—75000, ძროხის ხორცი 440.000 მან., ღორის ხორცი 420.000 მან., შაქარი რაფინ. 420.000 მან., შაქარი ფხვნილი 800,000 მან., კარტოფილი 80000 მან.

ბირჟის მიწოდება.

მარსელის კრამიტი 1 ხარ., აგური, ქუთაისის კირი, ცარცი (ფხვნილი), თიხის მილები, მზესუმზირას ზეთი (2 ცისტერნი), მარტენის მავთული, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ნაწლევები (15,000 კონა), სპილენძი (ფურცლოვანი), ტყავის ღვედები, „სახარო-ტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატი“-ს პროდუქცია, ხორბალი და პურეული, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, „ცარპაიტორგ“-ის პროდუქ., რუს. მანუფაქტ., ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა ასანთი რუს., სახ. მეურნ. საბჭოს საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ერევნის მატყლი გარეცხილი, პაპიროსის ქაღალდი, ყავა „მოკკო“, თხილი, შაბიამანი, განჯის შაბი, გაზეთის ქაღალდი, საპონი „დოკატ“, ძირტკბილა, იტალიური გოგირდი, კარტონი, ინგლის. ფეხსაცმელები, კარაქი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ყუბანის ფქვილი („რაზმოლ“), ტეხნიკური ცხიმი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო), ასანთი რუს, ქვა-მარილი ნახიჩევანის, გოგირდი თხილი, ტომრები, კვებრახის ექსტრაქტი, ტყავის ღვედები.

ოფიციალური გარიგებანი

ყუბანის ფქვილი 3 ხარ.—2 მ. 50 კ. და 3 მ. 50 კ. ფრანკო გამყიდველის საწყობი. პრობკა 4100 მანეთის.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბალზე და პურზე ფასები დაწეულია, დანარჩენ ბაზრებზე გამოურკვეველია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

1—13 მარტამდე ბირჟის გარეშე დადებულია 144 გარიგება,—549181 ჩ. მან. თანხა, 14 მარტს დადებულია 15 გარიგება 47398 მანეთის, სულ 1 მარტიდან—595579 მ. თანხისა.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(18 და 19 მარტი)

1 ჩ.	11.000.000
2 ჩ.	22.000.000
3 ჩ.	33.000.000
4 ჩ.	44.000.000
5 ჩ.	55.000.000
6 ჩ.	66.000.000
7 ჩ.	77.000.000
8 ჩ.	88.000.000
9 ჩ.	99.000.000
10 ჩ.	110.000.000
11 ჩ.	121.000.000
12 ჩ.	132.000.000
13 ჩ.	143.000.000
14 ჩ.	154.000.000
15 ჩ.	165.000.000
16 ჩ.	176.000.000
17 ჩ.	187.000.000
18 ჩ.	198.000.000
19 ჩ.	209.000.000
20 ჩ.	220.000.000
21 ჩ.	231.000.000
22 ჩ.	242.000.000
23 ჩ.	253.000.000
24 ჩ.	264.000.000
25 ჩ.	275.000.000
26 ჩ.	286.000.000
27 ჩ.	297.000.000
28 ჩ.	308.000.000
29 ჩ.	319.000.000
30 ჩ.	330.000.000
31 ჩ.	341.000.000
32 ჩ.	352.000.000
33 ჩ.	363.000.000
34 ჩ.	374.000.000
35 ჩ.	385.000.000
36 ჩ.	396.000.000
37 ჩ.	407.000.000
38 ჩ.	418.000.000
39 ჩ.	429.000.000
40 ჩ.	440.000.000
41 ჩ.	451.000.000
42 ჩ.	462.000.000
43 ჩ.	473.000.000
44 ჩ.	484.000.000
45 ჩ.	495.000.000
46 ჩ.	506.000.000
47 ჩ.	517.000.000
48 ჩ.	528.000.000
49 ჩ.	539.000.000
50 ჩ.	550.000.000
51 ჩ.	561.000.000
52 ჩ.	572.000.000
53 ჩ.	583.000.000
54 ჩ.	594.000.000
55 ჩ.	605.000.000
56 ჩ.	616.000.000
57 ჩ.	627.000.000
58 ჩ.	638.000.000
59 ჩ.	649.000.000
60 ჩ.	660.000.000
61 ჩ.	671.000.000
62 ჩ.	682.000.000
63 ჩ.	693.000.000
64 ჩ.	704.000.000
65 ჩ.	715.000.000
66 ჩ.	726.000.000
67 ჩ.	737.000.000
68 ჩ.	748.000.000
69 ჩ.	759.000.000
70 ჩ.	770.000.000
71 ჩ.	781.000.000
72 ჩ.	792.000.000
73 ჩ.	803.000.000
74 ჩ.	814.000.000
75 ჩ.	825.000.000
76 ჩ.	836.000.000
77 ჩ.	847.000.000
78 ჩ.	858.000.000
79 ჩ.	869.000.000
80 ჩ.	880.000.000
81 ჩ.	891.000.000
82 ჩ.	902.000.000
83 ჩ.	913.000.000
84 ჩ.	924.000.000
85 ჩ.	935.000.000
86 ჩ.	946.000.000
87 ჩ.	957.000.000
88 ჩ.	968.000.000
89 ჩ.	979.000.000
90 ჩ.	990.000.000
91 ჩ.	1.001.000.000
92 ჩ.	1.012.000.000
93 ჩ.	1.023.000.000
94 ჩ.	1.034.000.000
95 ჩ.	1.045.000.000
96 ჩ.	1.056.000.000
97 ჩ.	1.067.000.000
98 ჩ.	1.078.000.000
99 ჩ.	1.089.000.000
1 მ.	1.100.000.000
2 მ.	2.200.000.000
3 მ.	3.300.000.000
4 მ.	4.400.000.000
5 მ.	5.500.000.000
6 მ.	6.600.000.000
7 მ.	7.700.000.000
8 მ.	8.800.000.000
9 მ.	9.900.000.000
1 [illegible]	11.000.000.000

მუშათა ცხოვრება

პარიზის კომუნის 53 წლის თავისათვის

53 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დამარცხდა პარიზის კომუნა.

1871 წელს გამოცხადებულ იქნა პირველად ისტორიაში მუშათა მთავრობა—კომუნა. საფრანგეთის პროლეტარიატმა თავის თავზე იდვა მუშათა განთავისუფლების მძიმე ამოცანა.

მათი გმირული მაგალითი ჩვენთვის დაუვიწყარია. მათი სისხლი ვერსალის ჯალათების მიერ დაღვრილი ჩვენს გულში სცემს. ისინი ცოცხლები არიან ჩვენთვის.

კომუნა სისხლში ჩაახრჩვეს ჯალათებმა ვერსალიდან.

ჯალათებმა იჯერეს გული საფრანგეთის კომუნარებზე, ტიერის მეთაურობით. მან დახვრიტა ბევრი მუშები და გლეხები. არასოდეს არ დაივიწყებს მუშათა კლასი, თუ როგორ გამოჰყავდათ ტიერს და მის ხაფკიუთესო მეგობარს გენერალ გალიფეს მუშები და სიცილ-ხარხარით უშინჯავდენ ხელებს—მუშა იყო ის თუ არა და შემდეგ ხვრეტდენ.

ტიერის მეგობარი გალიფე, რომელიც სცხოვრობდა თავის ცოლის ხარჯზე, ცოლის, რომელმაც გაითქვა სახელი მეორე იმპერიის ორგიებზე თავისი სხეულის გამოფენით, იყო ცნობილი ომის დროს საფრანგეთის პრაპორშჩიკის სახელით.

საფრანგეთის და პრუსიის ჯალათებმა გაიმარჯვეს და დაამარცხეს პარიზის კომუნარები. გაძღნენ მათი სისხლით.

დაამარცხეს პარიზის კომუნარები, ის კომუნარები, რომელნიც იბრძოდნენ სიმართლეს და უნდოდათ დაემყარებინათ მუშურ-გლეხური მთავრობა.

დღეს კი არსებობს იგივე კომუნა, იგივე კომუნარები, მაგრამ სხვა ფორმებში, სხვა პირობებში.

კომუნარების იდეებმა გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირში, ეს იდეები გაიმარჯვებენ მთელ მსოფლიოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით.

ჩვენ ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ მთელს მსოფლიოში არ დავამყარებთ მშრომელთა ხელისუფლებას.

დიდება და გამარჯვება პარიზის კომუნარებს!

გაუმარჯოს მათ ხსოვნას!

გაუმარჯოს მთელს დედა-მიწის ზურგზე კომუნისტურ პარტიას!

მუშკორი ვალა.

„სულიერ მამების“ გასამართლების გამო

ა. წ. 15 მარტს, ტფილისის კომუნალურ მუშაკთა კავშირის ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ ქალ. აღმასკომის კომუნალურ მუშა-მოსამსახურენი მ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში. აქ იყვნენ მუშა-მოსამსახურენი წყალსადენის, ტრამვაის, აბანოების „უესის“, „ჟესის“, ხანძარის და სხვა განყოფილებებიდან. ამ დიდ [illegible] დემონსტრაციულ საზოგადოებას ეტყობოდა დიდი აღელვება. ტრიბუნაზე გამოდის კომუნალურ კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. სერგეევი, რომელიც აღნიშნავს კათალიკოს ამბროსის და „მათთა მმათა“ მიერ მუშურ-გლეხურ მთავრობის ღალატს, მშრომელთა ქონების მითვისებას და გადამალვას, საბჭოთა რესპუბლიკებზე საინტერვენციო ჯარების თავდასხმას, გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნით და მენშევიკურ ცეკას აგენტების ნინიძის და სხვა ავლაკატების მიერ საქართველოს სამღვდელოების დაცვას. მოკლე მოხსენების შემდეგ ამხ. სერგეევი აცხადებს მუშათა დელეგატების სიას, რომლებიც წავლენ პროცესის წინ.

სადემონსტრაციო პროცესია გამართა კომუნალურ კავშირის კლუბიდან (მუშტაიდის კუთხე) პლეხანოვის პროსპექტით, შემდეგ პიროგოვის და ჩერქეზიშვილის ქუჩით, პროცესიას, გზადაგზა უერთდებოდნენ მუშა-მშრომელნი სხვა დაწესებულებებიდანაც და ეს ზღვა ხალხი წინ საპროტესტო პლაკატებით და დროშებით, სადაც ისინი მოითხოვდენ „სულიერ მამათა“ სასტიკ დასჯას და მათი დამცველ ავლაკატების საბრალდებულო სკამზე დაჯდომას, ეს ათასობით მშრომელი ხალხი მივიდა ნაძალადევის მუშათა კლუბთან.

მუშათა დელეგატები: ლ. გაგნიძე, სერგეევი, გოგინაიშვილი, თოფაძე, ფარნიევი, დევდარიანი და სხვანი შევიდნენ კლუბში. აქ ისინი მიიღო სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ჩხეიძემ. ხსენებულმა დელეგატებმა კლუბის ეზოში მყოფ რამდენიმე ათასი მუშის სახელით, აღნიშნეს რა მშრომელი ხალხის, საბჭოთა რესპუბლიკების „სულიერ მამების“ მიერ ღალატი და კართლე ნინიძის და სხვა ავლაკატების ხალხის მოღალატეების დაცვის გამო მათი გამუდმებლობითი პოლიტიკა, მოითხოვეს სასტიკად დასჯილ იქნენ მატყუარა „სულის მამანი“, მშრომელი ხალხის ქონების მიმთვისებელნი და საბჭოთა მთავრობის მოღალატენი და ცრუ სოციალისტები კართლე ნინიძე და სხვა „სიმართლის მაძიებელნი“ დასმულ იქმნან საბრალდებულო სკამზე. დელეგაციამ სთხოვა სასამართლოს თავმჯდომარეს კლუბის ეზოში მყოფ მუშებისათვის გაეცნო საქმის ვითარება. ამხ. ჩხეიძე აცნობს ფართე დემონსტრაციის პროცესის მსვლელობას და აღუთქვამს, რომ მუშური სასამართლო ჯეროვან სასჯელს მისცემს მშრომელი ხალხის მტრებს. საზოგადოება დაიშალა ღამის ათ საათზე.

მუშკორი ათ. განიძე.

მეთამბაქოე მუშების ხმა.

ჩვენ, მუშებმა, კარგად ვიცით, რომ საქართველოს გასაბჭოების დროს თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა საბჭოთა მთავრობას. ჩვენი მეურნეობა მაშინ ძალიან სუსტი იყო და ამის გამო ჩვენ თითქმის ყველაფერში კრიზისს განვიცდიდით; აი სწორედ მაშინ საბჭოთა ხელისუფლების მოღალატე ამბროსი და მისი ცრუ-მორწმუნე დამქაშები ყოველივე ღონისძიებას ხმარობდენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და ავრცელებდენ პროვოკაციულ ხმებს საზღვარ-გარეთულ სახელმწიფოებში; ისინი მიმართავდნენ გარეშე სახელმწიფოებს თხოვნით, რათა მათ განთავისუფლებინათ საქართველო რუსეთის „მოძალადეებისგან“, საქართველო და მისი მშრომელი ხალხი კი სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს ყოველთვის, როგორც ეხლაც. საქართველოს მშრომელი ხალხი სამუდამოდ განთავისუფლდა როგორც ძველ დახავსებული მეფის რეჟიმისაგან, ისე ოცდაერთ წლის მოღალატე მენშევიკებისგანაც. საქართველოს მშრომელი ხალხი გასაბჭოების შემდეგ იყო და არის თავისუფალი და ამიტომ დღეს ჩვენ ვსცნობთ ბრალდებულებს დამნაშავეებად, სახელმწიფოს მოღალატეებად და მათ მიერ მშრომელი მასის სახელმწიფო ქონების გადამალვისათვის მოვითხოვთ: დასჯილ იქნეს როგორც ამბროსი, ისე მისი თანამშრომლები და პასუხისგებაში იქნეს მიცემული მისი დამცველები. ჩვენ არ გვინდა შავრაზმელების ჩვენზე ზრუნვა. ძირს საზიზღარი მოღალატენი! გაუმარჯოს მუშებს! გაუმარჯოს საბჭოთა აღმშენებლობას! გაუმარჯოს მათ ხელმძღვანელებს და პროლეტარულ სასამართლოს!

მეთამბაქოე მუშა ჭუნკაძე.

8 მარტის დღესასწაულის გამო

8 მარტს ვიდღესასწაულეთ მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე.

წინათ მუშა-ქალებს უყურებდნენ ზიზღით, მათ დასცინოდნენ და უყურებდნენ მათ როგორც „გამოსაყენებელ მასალას“.

მონობის დროს მუშა-ქალები იდგნენ მშივრები, შიშვლები და თან შვილებით ხელში მათხოვრებად დაწანწალებდნენ ქუჩებში ლუკმა პურისათვის.

ბევრი ტანჯვა გამოუვლიათ ჩვენ მუშა-ქალებს სახლში და კარში.

ბევრი მაგალითებია იმისა, რომ გამატყუნებული, გალეშილი ღვინით „საყვარელი ქმარი“ მოსულა სახლში და ცემა-ტყეპით აგდებდა თავის ცოლს სახლიდან, და ეუბნებოდა: „წადი, იმუშავე, რაც გინდა ქენი, გინდა ქუჩა-ქუჩა იარე და მე კი შემინახეო“!

რა უნდა ექნა საცოდავ ქალს?!

ის იძულებული იყო წასულიყო სადმე, ევაჭრა „თავის სხეულით“ და აესრულებინა თავისი „ბატონის“ წადილი.

როდესაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მან პირველ ყოვლისა გადმოავლო თვალი მუშა-ქალთა წრეს და დაამსხვრია მათი მონობის ბორკილი.

დღეს ვხედავთ, ჩვენ რიგებში ერთად-შეკავშირებულ და განათლებულ მუშა-ქალებს; ვხედავთ მათ ყველა ფაბრიკებში, ქარხნებში, სტამბებში და ყველა დაწესებულებებში მომღიმარეთ და ბედის მადლიერთ.

მუშა-ქალებმა ბევრი რამე გააკეთეს თავისი შეგნებით და თავისი შეგნებული მუშაობით. ისინი მუშაობენ და კიდეც გრძნობენ ვისთვის და რისთვის მუშაობენ.

ისინი გრძნობენ, თუ ვინ დაამხო მათი მტარვალი, ვინ დაანგრია მათი ბატონთა ტახტი, ვინ იხსნა ტანჯვისაგან და ბორკილებისაგან, ვინ გადაარჩინა მათი შვილები და დედები სიმშილისაგან.

საბჭოთა მთავრობამ გაათანასწორა ქალი.

ქალი, როგორც მოქალაქე, დედა და საზოგადო მოღვაწე ცნობილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ და როგორც ასეთი, მოწოდებულია საბჭოთა მშენებლობაში მამაკაცთან ერთად როგორც თანასწორი თანასწორთან.

აი სწორედ ამიტომ ღირსეულადაც ჩავატარეთ ჩვენ დღე—ტფილისის მუშებმა და მუშა-ქალებმა.

გაუმარჯოს მშრომელი ქალის განმანთავისუფლებელ კომუნისტურ პარტიას!

მუშკორი ვალა.

ეს დიდი შეცდომა უნდა გამოსწორდეს აუცილებლად.

(სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს)

თუთუნის ქარხნის მუშებს ტრესტის მიერ ეძლეოდათ დღეში თითო ჭიქა რძე, მაგრამ არა ყველას, არამედ ზოგიერთი დარგის მუშებს, და ასეთი გამონაკლისი დანარჩენი მუშებისა სამართლიან საყვედურს აცხადებს. ერთი პატარა ნაწილი სარგებლობს რძით და უმრავლესობა კი არა. ამის შესახებ არა ერთხელ და ორჯერ დაწერილა გაზეთში და მაინც ამ საკითხის მოგვარება დღემდის უყურადღებოდ რჩებოდა. ამ უკანასკნელ დროს კი, ე. ი. 5 მარტიდან მოვიდა განკარგულება, რომ დანარჩენ მუშებსაც მისცემოდა რძე. მაგრამ ეს განკარგულება მაინც დამაკმაყოფილებლად არ მიგვაჩნია, რადგანაც ჩვენი ქარხანა „პროლეტარის“ მუშების რიცხვი ამ ჟამად შეადგენს 228. ამათგან უწინ ღებულობდა რძეს 68 მუშა. ახლა კი 114 მუშა. დანარჩენი 109 მუშა ძველებურად მოკლებულია რძის მიღებას. ეს კი სამწუხარო არის, რადგანაც მუშების გარჩევა ერთი-მეორისაგან მხოლოდ უკმაყოფილებას იწვევს, ვინაიდგან ერთ ქარხანაში ერთი და იგივე თუთუნის შხამით არის გაჟღენთილი ატმოსფერა.

მაშასადამე, თუ ერთი დარგის მუშები იწამლებიან თუთუნის მტვერით, მეორენიც ამავე პირობებში იმყოფებიან, პირველ სართულში რძეს ღებულობენ თუთუნის დამრჩევნი, დამწყობები, დამჭრელნი და პაპიროზ ჩამწყობნი. მეორენი კი პაპიროსის გამკეთებელნი; პირველში არიან მოთავსებულნი ბანდეროლის გადამკვრელნი, ლიტერების დამჭრელნი და სხვა, რომელნიც ერთსა და იმავე ჰაერს სუნთქავენ. მეორეში კი არიან გილზების გამკეთებელნი, პაპიროსის კოლოფებში ჩამწყობნი და სხვა, რომელნიც ვერ ღებულობენ რძეს. ესენიც ამავე ჰაერით სუნთქავენ, როგორც რძის მიმღებნი. რა დაიშავეს ამათ, რომ ესენი არ სარგებლობენ ტრესტის გულკეთილობით? განა ესენი ამავე ქარხანაში არა შრომობენ? განა ესენიც ტრესტის სასარგებლოთ არა ხარჯავენ თავიანთ შრომის ძალღონეს? განა ესენიც ერთნაირ ჰაერით არ იწამლებიან? რათ უნდა უყურონ მუშებმა ერთი-მეორეს შურის თვალით? ნუ თუ ამას მოითხოვს მუშათა ერთობა? თუმცა ერთი უმნიშვნელო ჭიქა რძე დიდს სარგებლობას არავის არ მოუტანს, მაგრამ ასეთი გარჩევა მუშებისა მიუღებელია, მუშების სოლიდარობას არღვევს.

ამას მოვაქცევთ შრომის დამცველ კომისიის ყურადღებას, რომ სხვა მუშებსაც მიეცეს ეს უფლება. ეს გარემოება დიდ ხარჯებს არ გამოიწვევს და მუშებში მოსპობს ყოველგვარ აყალ-მაყალს.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

პროფკავშირებში

რკინისგზელთა კავშირში

მეხუთე საუბნო ყრილობისათვის.

რკინისგზელთა ტფილისის საუბნო პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს 5-ე საუბნო ყრილობა 17 მარტს, საღამოს 6 საათზე,—5 საათზე კი ფრაქციული სხდომა. დღის წესრიგი შემდეგია: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ (მომხ. ამხ. ორჯონიკიძე), 2) პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) საუბნო დამზღვევი კასის ანგარიში, 4) შრომის ინსპექტორის ანგარიში, 5) გზების უფროსის მოხსენება, 6) რკინისგზელთა პროფკავშირის მოხსენება, 7) ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამმართველოს საზოგადოების მოხსენება, 8) თეზისების განხილვა, 9) სამანდატო კომისიის მოხსენება, 10) არჩევნები, 11) მიმდინარე საქმეები. ამას გარდა დადგენილია ყრილობას წარედგინოს შემდეგი რეგლამენტი: სხდომები იმართებოდეს 9-დან დღის 2 საათამდე და საღამოს 5 დან 8 საათამდე, მომხსენებელს მიეცეს მოხსენებისათვის 1 საათი, საბოლოო სიტყვისათვის—30 წუთი. ორატორს თვითეული საკითხისათვის პირველად—15 წუთი, მეორეთ—10 წუთი, პირადი საკითხისათვის სხდომის ბოლოს—3 წ. განცხადებები შეტანილი უნდა იქნეს წერილობით. შეკითხვები კი როგორც წერილობით, ისე ზეპირათ. ამას გარდა დამტკიცებულია თეზისები საორგანიზაციო, კულტურულ-განმანათლებელ, შრომის დაცვის და სატარიფო საკითხის შესახებ.

ამხ. იისელიანი დამტკიცებულ იქნა ა. კ. რკინისგზელთა სამმართველოს ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის მესამე პლენუმი

მეორე სხდომა

სხდომა გაიხსნა სად. 8 ს. თავმჯდომარეობს ამხ. ლეჟავა.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია რკ. გზ. კომიტეტის მოხსენების გამო.

შემდეგ ამხ. კოლოსოვის წინადადებით, სხდომამ დაადგინა ა. კ. რკინისგზელთა ყრილობის მოწვევა პირველ აპრილისათვის. წარმომადგენლობის ნორმა: 500 კაცზე 1 დელეგატი. ეს ყრილობა განიხილავს იმავე საკითხებს, რაც მე 3 პლენუმის დღის წესრიგში იყო.

დასასრულ პლენუმმა დაამტკიცა ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირის ღონისძიებანი ჰაეროპლანის შესაძენათ და ტარიფის შესახებ.

პლენუმი დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ქრონიკა

— **18 მარტი უქმე დღეა.** 18 მარტი, პარიზის კომუნის დღე, შრომის კანონის თანახმად უქმე დღეა.

— **მდინარის კალაპოტის გამაგრება.** მოკავშირე გზათა სამმართველომ შეუდგა სამხრეთ-ოსეთის გზის წყალდიდობისაგან უზრუნველსაყოფად მდ. რიონის კალაპოტის გამაგრებას ქუთაისიდან 7 ვერსის დაშორებით.

— **ჯამაგირების მომატება.** ა—კ. რკ. გზების სამმართველომ გადასწყვიტა მოუმატოს ხელფასი მძიმე სამუშაოზე მომუშავეთ—ქვაბების და სამჭედლოების მუშებს.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** მიწათმოქმედების კომისარიატმა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები რიცხვით 1,300 დაგზავნა სოფლად განსაკუთრებით სიღნაღის, გორის და ბორჩალოს მაზრებში. იარაღები გლეხებს დაურიგდებათ შეღავათიან პირობებში ნისიათ.

— **ჭაჭის არაყის დამზადება.** წარმოკავშირის და სახ. მეურნეობის საბჭოს სარაჯიშვილისეული ქარხანამ უკვე დაიწყო მუშაობა. სეზონს განმავლობაში ქარხანამ უნდა დაამზადოს ორი მილიონი გრადუსი ჭაჭის არაყი.

— **ვაშლის გატანა.** წარმოკავშირმა ქ. გორის მაზრაში დაამზადა 8000 ფუთამდე ევროპიული ჯიშის ვაშლი, ამ დღეებში 8 ვაგონი ვაშლი გაიგზავნება ლენინგრადში, მოსკოვში და კიევში.

— **ზემო-ავჭალის სადგურის აგების დამთავრება.** ზემო-ავჭალის სადგურის აგება დამთავრდება 1925 წ.

— **წყალსაზომების შეძენა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა შეძენილ იქნეს საზღვარ-გარეთ 2000 წყალსაზომი.

— **წყალსადენის მილები გარეუბნებში.** ქ. აღმასკომმა დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები გარეუბნებში წყალსადენი მილების გასაყვანათ და წყალზე ფასის შესამცირებლათ.

— **აფთიაქების გადაცემა აღმასკომებზე.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა დაუშვას აფთიაქების გადაცემა ადგილობრივ აღმასკომებზე ჯანმრთელობის კომისარიატთან შეთანხმებით.

— **უმუშევართა წიგნაკების გამოცვლა.** იმ დაზღვეულმა და ჯარისაგან განთავისუფლებულმა უმუშევრებმა, რომლებმაც ვერ მოასწრეს წიგნაკების გამოცვლა, უნდა წარადგინონ ძველი წიგნაკები ახლებზე გადასაცვლელათ თავიანთ სექციებში 19 მარტამდე.

— **შრომის ბირჟა.** 15 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—239, ახლად ჩაეწერა—122, გაიგზავნა—108, მოთხოვნილება იყო—29.

შემთხვევები.

— **შეპყრობა.** შეპყრობილი იქნენ ალექსანდრე კაზიშვილი, ნიკოლოზ და პეტრე ოქროპიროვები, რომელთა ბრალდებათ აკაკი უჯმაჯურიძის ბინის გაქურდვა (მეორე სამილიციო რაიონი).

— **მკვლელობა.** 12 მარტს საღამოს 3 საათზე ანდრეევის ქ. № 118 მოქ. იასონ გოთიაშვილის ბინაზე მოქ. სერგო სხირტლაძემ შემთხვევით რევოლვერით დასჭრა თავისი ამხანაგი ალექსანდრე სტეფანოვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს.

— **უბედური შემთხვევა.** 13 მარტს დღით წყნეთის ქუჩაზე მიმავალ წითელ-არმიელების ტაჭკას დაეჯახა მსუბუქი ავტომობილი № 94, რის დროსაც შიგ მსხდომნი წითელ-არმიელები: ტალახაძე, მესხიშვილი და მაისურაძე მსუბუქათ დაშავდნენ. შოფერი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 13 მარტს საღამოს 10 საათზე გაქურდულ იქნა სამხედრო რევტრიბუნალის სამკერვალო მაღაზია (კრუზენშტერნის ქ. № 8) საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ტანისამოსები 150 ჩერვონეცის. ქურდი—თედორე ბიჩკვაძე შეიპყრეს.

— 9 მარტს ღამით გაქურდეს მოქ. მარიამ ბადრიაშვილის ბინა (ფ—ტელეგრაფის სახ. კომისარიატის შენობაში), საიდანაც წაიღეს 60 ჩერვონეცის ნივთები.

ხელოვნება.

— **დახმარება ქუჩიშვილს.** ავადმყოფ პოეტს—გ. ქუჩიშვილს განათლების კომისარიატმა დახმარების სახით გადასცა—100 მან.

— **ნ. გოცირიძის იუბილე.** ნ. გოცირიძის საიუბილეო კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს წიგნი იუბილიარზე და აგრეთვე იუბილიარი სხვადასხვა როლებში. შემოსავალი გაყიდულ სურათებისგან მოხმარდება უპატრონო ბავშვებს.

— **ქართული მხატვრობის გამოფენა.** მაისის პირველ რიცხვებში საქართველოს ეროვნულ გალერეის დარბაზში გაიმართება ქართულ მხატვრობის და ქანდაკებების გამოფენა.

— **ქართველ მუსლიმანთა დამხმარე საზოგადოება.** ტფილისში დაარსდა ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება.

პროვინციაში

დ. მუხური (ზუგდიდის მაზრა)

დ. მუხური დაშორებულია სამაზრო ცენტრზე დაახლოებით 85 ვერსის მანძილზე, ახალ-სენაკის სადგურიდან კი 48 ვერსით. ის ზუგდიდის მაზრის მასშტაბით საკმაოდ დიდს სოფელს წარმოადგენს, შეიცავს 750 მეკომურამდე. კულტურულად ზუგდიდის მაზრის სოფლებთან შედარებით მას მუდმივ თვალსაჩინო ადგილი ეკავა, მხოლოდ ამ ბოლო დროს კულტურული აღორძინების საქმე ცოტაზე მეტს მოიკოჭლებს, რაც შეიძლება მიეწეროს ადგილობრივი ინტელიგენციის გულგრილობას. აქ მრავალი კულტურული დაწესებულებები არსებობს. მრავალი სხვადასხვა დაწესებულებებთან, როგორიც არის შვიდი წლიანი შრომის სკოლა, 3 პირველ საფეხურის სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, აქ არსებობს აგრეთვე კოოპერატივი და სამკითხველო, კოოპერატივი მოთავსებულია დაქირავებულ დარბაზში, სამკითხველოს კი აქვს საკუთარი შენობა. კოოპერატივში მუშაობა მიდუნებულია, ის გადაქცეულია კერძო სავაჭროთ, კვირაში მხოლოდ ერთ-ორჯერ არის ღია და მას ყოველმხრივ განაგებს ნოქარი. გამგეობის უნარიანობა და ღვაწლი მას ძლიერ აკლია. გვიკვირს, თუ რათ არ ექცევა ამ მოვლენას სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და მით ბოლო არ ეღება გამგეობის დაუდევრობას. რაც შეეხება სამკითხველოს, აქ საქმე უფრო მოისუსტებს, ვინემ კოოპერატივში; ბიბლიოთეკის დარბაზი გაჭუჭყიანებულია, ოდესღაც წიგნებით სავსე სამკითხველოში დღეს თაგვები დაბინავებულან; ოდესღაც ინვენტარით სავსე და ჩვენი მგოსნების სურათებით მორთული წიგნთსაცავის კედლებს უბრალო შპალერიც არ შერჩენია. რას ფიქრობს ამაზე ინტელიგენცია, განსაკუთრებით მასწავლებლობა, რომელთა რიცხვი 12 ს აღემატება, ნუ თუ მათ ეს მოვლენა არ აფიქრებს, ნუ თუ მათ არ აფიქრებს ზრუნვა მოზარდ თაობაზე, რომელიც მოკლებულია ზოგად საკითხავ წიგნებს, და არამც თუ საერთო საკითხავს, არამედ სკოლის სახელმძღვანელოებსაც, რომლის მარაგი მაზრაში დიდია, მაგრამ უსახსრობის გამო მათ ვერ შეუძენიათ; ნუ თუ დღეს ისეთ დაბაში როგორიც მუხურია, ერთი გაზეთიც არ უნდა მოდიოდეს.

ბიძგი ინიციატივა, აირჩიეთ თქვენ შორის საქმის მომწესრიგებელი კომისია, მოაგროვეთ საწევრო და კერძო შემოწირულებანი, გამართეთ წარმოდგენები და ასეთი გზით დაგროვილი ფულებით სამკითხველოს საქმე სწორ გზაზე დააყენეთ.

მაზრის ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯი აქ წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ჯერ-ჯერობით მუშაობა ამ დარგში არ დაწყებულა, ვნახოთ რას მოგვცემს მომავალი. გარდა თქმულისა, აქ ბევრი რამეა გასაკეთებელი: პირველი—ეს არის ხობის წყალზე მუხურში დაწყებული ბეტონის ხიდის აშენების დასრულება. ხიდის ერთი მესამედის აშენება ადგილობრივ საზოგადოების ხარჯზე უკვე შესრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ მუხურის ხიდი ზუგდიდის მაზრის ნახევარ სოფლებს ისე ესაჭიროება, როგორც თვით აქაურ მკვიდრთ, დახმარებას არავინ გვიწევს და საკუთარი ძალ-ღონით მისი შესრულება „მაკრატლის“ კრიზისის დროს ჩვენ არ ძალგვიძს, თუ კი მაზრამ არ გვიწია სათანადო დახმარება. მაზრას შეუძლია შეაგნებინოს მოსაზღვრე სოფლებს—ჯგალი, ხამუში, ქოდა, წალენჯიხა, ხორომუს და ნაფიჩხოვო—რომ მუხურის ხიდი მათაც ესაჭიროებათ და ისინი უნდა დაგვეხმარონ. მაზრის ხელისუფლებამ მხედველობიდან არ უნდა გამოუშვას თუ რა ეკონომიური და თუ გინდათ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს მუხურის ხიდს ღ. ხობის ხიდის შემდეგ და მიიღოს ყოველგვარი ზომები მისი დამთავრებისათვის.

მეორე მოსაგვარებელი საკითხი მაზრის მთავრობის საყურადღებოდ შემდეგია: აქ, როგორც სხვა ზუგდიდის მაზ. სოფლებში, გაუქმებულია ეკლესია. დიდი ხანია რელიგიური რწმენა აღმოფხვრილია ჩვენში. ხომ საჭიროა ხალხისათვის სხვა რეალური საზრდოს მიწოდება. მოვითხოვთ სცენის მოყვარეთა ჯგუფის შედგენას, რისთვისაც აქ ძალა საკმაოა, მხოლოდ საჭიროა ინიციატივა; სასურველია სისტემატიურად ლექციების კითხვა, მეცნიერული, პოლიტიკური და ანტი-რელიგიოზური ხასიათის და სხვა. აქაც ერთგვარი მთავრობის დახმარების მოლოდინში. მესამე საკითხი მაზრის ხელისუფლების საყურადღებოდ არის საერთოდ გზების შეკეთების და განსაკუთრებით მუხურ-ჯგალის შუა, სადაც ავდრიან დარში ადამიანი წელამდის იფლება ტალახში. რომ მთავრობა მიიღებს ინიციატივას და ორივე საზოგადოებას დაგვავალებდეს, ჩვენ შრომას არ დავიშურებთ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილ გადაუდებელ საკითხებისა, აქ მრავალი სხვა საქმეებია მოსაგვარებელი, მაგრამ ეს ადგილობრივი საბჭოსთვის მიგვინდვია.

ფართე საზოგადოების საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მუხური მეგრელების ბორჯომ-აბასთუმანია. ზაფხულობით აქ დიდძალი ხალხი იყრის თავს, ეს სოფელი მდიდარია ფიჭვნარ და ცაცხვნარ ხეებით და სამურ ყვავილიან მინდორველებით. ეს შეუფასებელი ბუნება, არაჩვეულებრივი კარგი ჰაერით და ანკარა ცივი წყაროებით საუცხოვო საშუალებაა ზაფხულობით ჩამოსულ დაავადმყოფებულ მუშა-გლეხების განსაკურნებლად. მრავალია მაგალითი იმისა, რომ ურმით ჩამოყვანილი ავადმყოფები, ერთი და ორი თვეში მუხურში გამოკეთების შემდეგ, ბრუნდებიან შინ ფეხით. ოთხი ვერსის მანძილზე აქ არის მინერალური წყლებიც, რაც ჯერ-ჯერობით საკმაოდ არ არის გამოკვლეული; ისე უნდა ითქვას, რომ „მინჯის“ წყალი, როგორც ეძახის ერთ აქ არსებულ მინერალურ წყალს ხალხი, სწორედ მისწრებაა თავის ტკივილის, ტანის ქავილის საწინააღმდეგოდ. ბოლოს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მუხურის ბუნება აგრეთვე გამოსადეგია მეფუტკრეობისათვის, რაც იქ, როგორც მთელს მაზრაში, მოიკოჭლებს და ეს ხდება იმ დროს, როდესაც საზოგადოებას არსებობისათვის უკეთესი წყარო არ გააჩნია რა, აქაური თაფლს რომ დააკვირდეთ, მაღალი ღირსებისაა, იგი სამურია სუნით და სამკურნალო თვისებებით. სასურველია ამ სოფლიდან აპრილს დამდეგს გაიგზავნებოდეს ქ. ტფილისში ვინმე მეფუტკრეობის კურსებზე, რაც ალბად გაგრძელდება ერთი ან ორი თვე; ეს მოგვცემს სპეცს, შედარებით აქაურ მეფუტკრეებთან, რომელიც სოფელში შემოიღებს დადანბლატის, ამერიკა-ევროპიულ სისტემის დასაშლელ ბიკებს,—ასეთი მოვლენით ძირიან ფესვებიანად აღმოიფხვრება მამა-პაპური მესკეობა და საქმე ამ დარგში მოეწყობა რაციონალურად.

ვახტანგი.

ბიბლიოგრაფია

„კავკასიონი“ № 1—2

სრულიად საქ. მწერალთა კავშირის ორგანო

უნდა გადაჭრით და გარკვევით ითქვას, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა საქართველოში მტკიცე საფუძვლები ჩაეყარა ჩვენი კულტურის აღორძინების საქმეს. საქართველოს ისტორიის არც ერთს პერიოდში ქართული კულტურის საქმისათვის იმდენი ენერგია და მზრუნველობა არ დახარჯულა, როგორსაც ადგილი აქვს ამჟამად: ყოველი დარგი კულტურული ცხოვრებისა შესაფერისს მზრუნველობას განიცდის მუშურ-გლეხური მთავრობის მხრით და ამ მზრუნველობის შედეგებს ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზედ ვხედავთ და ვამჩნევთ. თეატრი, მუსიკა, წიგნის გამომცემლობა ყოველი დარგი ხელოვნებისა—დღეს პირდაპირ განიცდის აყვავების პერიოდს, და ეს შედეგია იმ დიდი შრომის, რომელსაც ეწევა ჩვენი ხელისუფლება ჩვენი კულტურის დასაწინაურებლად.

განსაკუთრებული ნაბიჯია გადადგმული წინ წიგნების გამოცემის საქმეში: როდესაც ჩვენ ვადარებთ წიგნის გამოცემის საქმეს მენშევიკების ბატონობისა და ჩვენი ხელისუფლების დროს, კოლოსალურს განსხვავებას ვამჩნევთ; დღე დღითი-დღე იღებს ქართული წიგნის ბაზარი ახალ-ახალი გამოცემებით: ჩვენი ძველი კლასიკები, ახალი მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, თარგმნილი მწერლობა—ჩვენი გამომცემლობის საზრუნავი საგანი ხდება. ასეთს რამეს ადგილი არ ჰქონია მენშევიკების ბატონობის დროს.

აი ჩემს წინ გადაშლილია მნიშვნელოვანი სრულიად საქ. მწერალთა კავშირის ორგანო „კავკასიონი“ (№ 1—2). ეს სქელ-ტანიანი ჟურნალის გამოსვლა აუცილებლად აღსანიშნავ მოვლენას წარმოადგენს.

მაგრამ თუ ჟურნალი ყურადღებას იპყრობს თავისი სიდიდით, არამგონია რომ მან ასეთივე ყურადღება დაიმსახუროს თავისი შინაარსით.

ქართულ მხატვრულ მწერლობას ჟურნალში საკმაოდ მოზრდილი ადგილი აქვს დათმობილი. მაგრამ ამ ვრცელს საზღვრებში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთს მხატვრულ შემოქმედს, რომელიც „ეპოქის სულს“ გამოხატავდეს. ჩვენმა საუკუნემ ორი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტი განიცადა: ომი და ოქტომბრის რევოლუცია, რომლებმაც ძირიანად შეარყიეს მსოფლიო ცხოვრების ვითარება და სრულიად ახალი მომენტები შექმნეს. ჩვენი მწერლებისათვის სრულიად შეუმჩნევლად ჩაუვლია ამ დიდ აქტებს და მათი ზეგავლენა მთელი თავის შესაძლებლობით ვერ განუცდიათ. ისინი კვლავ ძველი შინაარსით, და ძველი მოტივებით განაგრძობენ მღერას. ოქტომბრის დიდი აქტის სულს თქვენ ვერ იპოვით მათ შემოქმედებაში. ეს აუცილებლად გამოხატავს ჩვენი მწერლობის კონსერვატიზმს, რომელიც არ სცდილობს შეითვისოს ახალი ეპოქის შინაარსი და სული.

მწერლობა ჩამორჩა ცხოვრების ვითარებას, და სანამ ეს ასე გაგრძელდება—ჩვენი მხატვრული ლიტერატურა ვერ შესძლებს დააკმაყოფილოს ქართველი მკითხველისა, განსაკუთრებით კი მისი მშრომელ მასის მოთხოვნილებები.

ასეთს პირობებში ჩვენ პირდაპირ კურიოზად მიგვაჩნია ჟურნალის შესავალ წერილის ავტორის განცხადება: „ქართულ მწერლობას აქვს საპატიო ტრადიცია იყვეს მესვეური მთელი ქართული კულტურისა, და იგი ეხლაც ვერ აუვლის ამ გზას“. (გვ. 5). ისტორიულად მართალია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ქართული მწერლობა მესვეურობას უწევდა მთელს ჩვენ კულტურას, მაგრამ ფაქტიურად დღეს ქართული კულტურის მესვეური სრულიად ახალი კლასია, რომელიც ახალ შინაარსა და მიმართულებას აძლევს ჩვენს კულტურას; ამ შინაარსს ღლევს ჩვენს მწერლობას, რომელიც საქ. მწერალთა კავშირის სახელით გამოდის, არაფერი გაეგება და ამიტომ მან ფაქტიურად დაკარგა თავისი ტრადიციული შემუშავებული კულტურის მესვეურის როლი.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი: ქართული ლიტერატურა თავიდანვე ღარიბი იყო ლიტერატურული კრიტიკის მხრით. ეს სიღარიბე თანდაყოლილია ჩვენს „კავკასიონზედ“: ლიტერატურული კრიტიკის მხრით იგი ღარიბზე უღარიბესია და ტყუილა შეეცდებით მასში აღმოაჩინოთ ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკული განხილვა და შეფასება.

კიდევ ერთი მომენტი: ჟურნალში არ არის დრამატიული ლიტერატურა.

ეტყობათ ჟურნალის მესვეურებს განზედ გვერდი აუვლიათ ისეთს დიდ და სადღეისო საკითხისათვის, როგორიც არის თემა: **ლენინიზმი და კულტურის საკითხი.** რუსეთის მწერლობამ და მეცნიერებამ ხაზგასმით აღნიშნა ლენინის დიდი მნიშვნელობა კულტურის აყვავების და წარმატების საქმეში. „კავკასიონი“, საქ. მწერალთა ორგანო, რომელიც გამოდის ლენინის გარდაცვალების თვენახევრის შემდეგ, შეგნებულად გვერდს უვლის ამ თემას და მხოლოდ გრ. რობაქიძის უკვე ცნობილ წერილის გადაბეჭდვით კმაყოფილდება. მათთვის გაუგებარი არის ასეთი თემა და მისი მნიშვნელობა. ისინი ჯერ კიდევ ძველი სათვალეებით ზომავენ ყოველ მოვლენას. ქართული კულტურის პრობლემის საკითხის განხილვა სოციალისტური თვალსაზრისით მათთვის [illegible] და აქა მოქ. გ. [illegible] თავის „ქართული კულტურის [illegible]“ [illegible] წერს, თითქოს საქართველოში ახალი ხელისუფლება არც კი არსებობდეს!

ჟურნალის განყოფილებებიდან აუცილებლად აღსანიშნავია **უცხოეთის ლიტერატურა.** საერთაშორისო ომის შემდეგ ქართული საზოგადოება მოსწყდა უცხოეთის ხელოვნების გაცნობის საქმეს; ჟურნალს შეუძლია ამ განყოფილების სათანადო დონეზე დაყენებით ძლიერ დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას.

ცოცხალი და დროული არის რეჟისორ კ. **მარჯანიშვილის** წერილი „ქართული თეატრის საკითხების“ შესახებ. ამ ჟამად ქართული თეატრი მიმართულებათა შეხლა-შემოხლის სარბიელათ გადაიქცა; კ. მარჯანიშვილი, როგორც განსაზღვრული მიმართულების ხელმძღვანელი სრულიად ორიგინალურ აზრებს გვაწვდის ჩვენი თეატრის შესახებ.

ფილოსოფიისა და მეცნიერების განყოფილებიდან ყურადღებას იპყრობს **პ. ინგოროყვას** ახალი ისტორიული გამოკვლევა პოეტ ჩახრუხაძის შესახებ.

საყურადღებოა **ალ. ყაზბეგის** ჯერ გამოუქვეყნებელი ავტობიოგრაფიული წერილები და მასალები.

ბ—ი.

„მნათობი № 1“

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის გამოცემა

რედაქციამ მიიღო ჟურნალი „მნათობი“ № 1 (გამოცემა პოლიტგანათლების მთავარ მმართველობისა) შინაარსი: **დემნა შენგელაია**—სანავარდო (რომანი), **ი. ხონელი**—ლექსი, **ხერეგრიანსკი**—კომუნა, ლექსი; **ტარასოვ-როდიონოვ**—შოკოლადი; **ფ. მახარაძე**—რუსეთის რევოლუცია და ლენინი, **მ. ტოროშელიძე**—დიადი დიადთა შორის; **ქ. ორაგველიძე**—ლენინი და ბრესტი, **ი. ვარდენ-მეგძე**—ბოლშევიკები და ეკონომისტები; **ქ. ორაგველიძე**—წერილები პოლიტიკური ეკონომიიდან; **შ. გოცირიძე**—ა. აინშტეინის რელატივობის თეორია; **გ. ბარნაბიშვილი**—ქვანახშირის მარაგი საერთოდ და კერძოდ საქართველოში; **ას. ორაგველიძე**—გაახალგაზრდავება; **ნ. კიკნაძე**—„მუშათა პარტიის“ მთავრობა ინგლისში; **ლარისა რეისნერ**—ჰიმალები ჩრდილში; **ი. გედევანიშვილი**—პროლეტ. ხელოვნების პრობლემა; ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

განცხადებები

ქუთაისი
ფილიპოვის სავაჭროში
(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)
მიღებულია ელექტრონით განათებული ყოველგვარი მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები და იყიდება ძლიერ ხელსაყრელ ფასებში
იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფი ჩაბარებით.
კრ. 920 15—9 პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელ. სადგურის
სამუშაოთ სამმართველო ამით აცხადებს, რომ 1924 წ. 20 მარტისათვის დანიშნულია
••• შეჯიბრება •••
ხრეშისა და ხიდის ნაჭრის დადგმაზე რაოდენობით: პირველის 1600 კუბ. საჟ. და მეორესი—850 კუბ. საჟ. დამუშავების ადგილს ირჩევს თვით მონარდე, დადგმის ადგილი არის ზაჰესის ვიწრო ლიანდაგის ხაზი ტექნიკურ ზედამხედველობის ჩვენებით. მთელი დადგმის შესრულების ვადა 6 თვეა. იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შეიძლება ამის შესახებ განცხადება დაწესებულ თეთრი-ნიმუშზე (ბლანკზე) სათანადო სალერბო მარკებით დახურულ კონვერტში—წარწერით: „ზაჰესის“ სამუშაოთა უფროსს 1924 წ. 20 მარტს დანიშნულ შეჯიბრებისათვის“, რომელ რიცხვში მოხდება კონვერტის გახსნა. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდრის წარმოდგენა განცხადებულ ფასის 5 პროც. რაოდენობით, რომელიც საწინდარიც მისაღებ თანხებიდან თანდათანობით გამოკლებით გადიდებული იქნება 10 პროცენტამდე. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან თავისუფალი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები, რომელთათვისაც საწინდარი განცხადებულ ფასიდან 10 პროც.-ს რაოდენობით ხვედრ თანხებიდან თანდათანობით გამოკლებით შესდგება. ხელშეკრულება და ცხავები (грохот) გაცემული იქნება ზაჰესის მიერ უფასოდ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ზაჰესის ტექნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დღის 10—2 საათამდე (ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 3, ყოფილი ველიამინოვის).
იქვე გაიცემა სათანადო თეთრი-ნიმუშები განცხადებისათვის.
ზაჰესის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე, ინჟინერი
ნ. № 946 3—3 ა. მელიქ-ფაშაევი.

მუშებო და გლეხებო!
თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანთსაცმელები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში
„გრუზოდეჟდა“
რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)
მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.
ფაბრიკა:
მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.
მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სპეც-ტანთსაცმელების მასიურ დამზადებაზე
ნ. 951 10—4

დავკარგე პირადობის მოწმობა კარაპეტ ბერიაშვილის სახელ. ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 693—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ალექსანდრა ივანოვას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 692—1—1

დავკარგე მეტრიკა ქ. ტფილისში გამოტანილი № 988 და პირადობის მოწმობა № 487 ქ. ქუთაისში გამოტანილი მილიციის უფროსისაგან მოცემული გრიგოლ ალექსანდრეს ძე მოსეშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 694—1—1

„ზარია ვოსტოკის“ სტამბა, სანა წულუკიძის ქუჩა № 4.